პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

„მოგზაური“ წელიწადში დიხს 5 მან. ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ადრესი: თფილისი, ნიკოლოზ. ქ, № 44.

მოგზაური

ყოველკვირეული ჟურნალი

რედაქცია ღია ყოველ დღე, დღისით 10 საათ. შუადღის 1 საათამდე, და საღამოს: 6 სათ. 7 საათამდე.

№ 41. კვირა, 20 ნოემბერი 1905 წლისა. №. 41.

მოგზაურის რედაქციისგან:

დღეიდან, ე. ი. 20 ნოემბრიდან, „მოგზაური“ იმ რედაქციით, რა რედაქციითაც იგი 1905 წლის 16 იანვრიდან (№ 2) გამოდიოდა—აღარ გაჩერდება.

იმ ხელის-მოწერთ, რომელთაც გაზეთის ფული მომავალ 1906 წლის პირველ იანვრამდე აქვთ გადახდილი, „მოგზაურის“ ნაცვლათ აღნიშნულ ვადამდე, **გაეგზავნებათ ახალი ყოველდღიური გაზეთი «სხივი»**, რომელიც დეკემბრის პირველ რიცხვებში გამოვა.

„მოგზაურის“ რედაქციას არ შეუძლია საყვედური არ გამოუცხადოს იმ პირთ, რომელთაც ხვედრი ფული აქამდის არ გადაუხდიათ. ამ პირებში ურევია ზოგიერთი აგენტებიც, რომლებმაც, ისარგებლეს რა რედაქციის ნდობით, ხელის მომწერთაგან ფული აიღეს, მაგრამ რედაქციას კი ეს ფული დღემდისაც არ მიუღია. ამიტომ რედაქცია კიდევ ერთხელ განმეორებით თხოვს ყველას ანგარიშის გასწორებას.

კვირას, 20 ნოემბერს

ვერაზე (სათავად-აზნაურო სკოლის შენობის მახლობლათ)

გაიმართება

საჯალხო მიტინგი

საგანი მიტინგისა: 1) უკანასკნელი ამბები და რევოლიუცია.
2) კავკასიის ერთვნებათა ავტონომია და სოციალ-დემოკრატია.

თფილისის მეუმრავლესეთა კომიტეტი. (კავკ. კავშ. რ. ს.-დ. მ. პარტ.).

კვირას, 20 ნოემბერს, დილის ათ საათზე

ნაძალადევში გაიმართება

საჯალხო მიტინგი

გასარჩევი კითხვები:

1) მოძრაობა სალდათებში.

2) კავშირების თავისუფლება და ფოსტა-ტელეგრაფის უწყება.

3) ხოცვა-ჟლეტის პროვოკაცია.

თბილისის ს.-დ. მუშათა ორგანიზაცია.

შინაარსი: ჩვენ მკითხველებს.—რ. სოც.-დემ. მ. პ. მომავალი კრების გამო.—სხვა-და-სხვა ამბები.—კორესპონდენციები.—რუსეთი.—უცხოეთი.—მეოთხე კრება რ. ს.-დ. მ. პარტიისა.—პარტიის რეორგანიზაციის შესახებ, ნ. ლენინისა.—ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა გაფიცვის გამო.—ჯარის-კაცთა ცხოვრებიდან.—საგლეხო კავშირის დელეგატების პირველი კრება მოსკოვში.—პირდაპირობა და ორპოფობა, ფ. მახარაძისა.—პარტიის ცხოვრებიდან.—კიდევ სომეხ-ნაციონალისტების შესახებ, ნერსეს მ—იანცისა.—ღია წერილი, ფ. მახარაძისა.—წერილი ყვირილიდან, საყულიელისა. — გურულების სასარგებლოთ.—წერილი რედაქციის მიმართ.

ჩვენ მკითხველებს.

ამხანაგებო! „მოგზაურის“ დღევანდელი ნომერი (№ 41) არის უკანასკნელი, რომელიც ჩვენი რედაქციით გამოდის. დღეს ჩვენ ვეთხოვებით ჩვენ მკითხველებს, მუშა-პროლეტარებს, რათა ახლო მომავალში, უფრო ფართო ნიადაგზე და უფრო მომზადებული განვაგრძოთ ჩვენი მოღვაწეობა—ჩვენ ამხანაგ-მუშებთან ერთათ, ვარკვიოთ პროლეტარიატის როლი და დანიშნულება იმ დიად მოძრაობაში, რომელსაც დღეს განიცდის მთელი რუსეთის ხალხი.

ამ ათიოდე თვის წინეთ, როცა ჩვენ მეფის მთავრობის მიერ დახურულ „კვალის“ ნაცვლათ საკუთარი ორგანოს გამოცემა ვიკისრეთ, მეტათ სამწუხარო იყო ჩვენი მდგომარეობა. ყველა ჩვენი ძალები ამავე მთავრობის აულაგმავი თვითნებობის წყალობით დაქსაქსული და მიფანტულ-მოფანტული, ჩვენი პარტიის დაუზოგველი და შეუბრალებელი დევნა, ახალ-ახალი სასტიკი რეაქციონური ზომები რევოლიუციონური პროლეტარიატის ძლევა-მოსილი მოძრაობის ჩასაქრობათ მიღებული განსაკუთრებით პეტერბურგში 9 იანვარს მომხდარ ამბების შემდეგ, მთავრობის ცენზურის რკინის დარჯაკი, რომელშიაც უნდა გამოეველო თითოეულ ჩვენ სიტყვას, და ამავე დროს ნივთიერი უსახსრობაც და მრავალი სხვა დამაბრკოლებელი გარემოებანი ჩვენ წინ გვეღობებოდენ, მაგრამ ყოველივე ეს, ჩვენდა მოულოდნელათ, ძლეულ იქნა იმდენათ ჩვენი საკუთარი ღონით არა, რამდენათაც ჩვენი მუდმივი მკითხველების, მუშა-ხალხის ნამდვილი თანაგრძნობით და დახმარებით. პირველ ნომრის გამოსვლისთანავე ჩვენ დავრწმუნდით, თუ რა საჭიროებას და მოთხოვნილებას შეადგენდა ჩვენში სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ორგანოს არსებობა იმ დამახინჯებულ სახითაც კი, როგორითაც ეს შესაძლებელი იყო თვითმპყრობელ სახელმწიფოში. რა თქმა უნდა, უმთავრესი დაბრკოლება ჩვენთვის მთავრობის ცენზურა იყო*). აქ იდევნებოდა ყოველგვარი ცოტათ თუ ბევრათ ცოცხალი აზრი, იდევნებოდა არა მარტო აზრი, არამედ უბრალო სიტყვაც კი. ხშირათ ჩვენ თითონ ვხდებოდით ჩვენი აზრის, ჩვენივე ცოცხალი სიტყვის ჯალათი, მაგრამ მიუ-

*) განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რომ ბ. გოთუამ ცენზორობას თავი გაანება.

ხედაყათ ამისა, მიუხედავათ ჩვენი შეხედულების „კონტრაბანდათ“ გატარებისა, ხშირი იყო ისეთი შემთხვევები, როცა არა თუ ცალკე წერილები და სტატიები, არამედ მთელი ნომრის მასალა, დასაბეჭდათ გამზადებული, საცენზურო კომიტეტში რჩებოდა და პასუხათ ცენზორების კბილების ღრჭენა და მათი უკმეხი მუქარა იყო. უბედური იყო ეს დრო! სამუდამო ზიზღი ყველა იმათ, ვინც ამ უბედურებას ხელს უწყობდა, ვინც მისი წყალობით ხელს ითბობდა!

რუსეთის მუშა ხალხმა, მებრძოლმა პროლეტარიატმა, სოციალ-დემოკრატიის დროშის ქვეშ შეერთებულმა, სამუდამოთ დასცა და დაამხო ის წესწყობიღება, რომელსაც მეფის თვითმპყრობელობა ერქვა და რომელიც ყველას კრიჭას უკრავდა და თავისუფლათ ამოსუნთქვის ნებას არ აძლევდა. რუსეთის პროლეტარიატმა თავგანწირული ბრძოლით მოგვიპოვა ჩვენ სიტყვის და წერის თავისუფლება. თავისუფალი სიტყვა-ეს უძლეველი და უძლიერესი იარაღი პროლეტარიატის მიზნის განსახორციელებლათ, დღეს ჩვენ ხელთ გვიპყრია. არავითარ ძალას არ შეუძლიან ჩვენ იგი ხელიდან გამოგვგლიჯოს. დღეს ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა ეს იარაღი ღირსეულათ გამოვიყენოთ. დღევანდელ პირობებს აღარ შეფერის კვირეული გამოცემა: დღეს ბრძოლა გაფართოვდა და ამიტომ ყოველკვირეულ ორგანოს მაკიერ, ყოველდღიური ორგანო შეიქნა აუცილებელი საჭიროა. კავკასიის პროლეტარიატი განცალკევებული არ არის, იგი მჭიდროთ, შეკავშირებულია არა თუ რუსეთის პროლეტარიატთან, არამედ ყველა ქვეყნის პროლეტარიატთანაც. ყველა ქვეყნის, საერთაშორისო პროლეტარიატის საბოლოო მიზანი და ამ მიზნის მისაღწევი გზა და საშუალება ერთი და იგივეა. კავკასიის პროლეტარიატი საერთაშორისო პროლეტარიატის უნაწილო ძმაა, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მას ძლიერ მაღლა უჭირავს საერთაშორისო პროლეტარიატის წითელი დროშა,—დიდებული დროშა სოციალიზმისა! ჩვენი უმახლობელესი მიზანი და დანიშნულება კავკასიის მუშა-ხალხის გამოფხიზლებაა, მაში შეგნების შეტანა და მისი მტკიცე კავშირით შეერთებაა სოციალ-დემოკრატიული წითელი დროშის ქვეშ. გაუმარჯოს ამ დროშას! გაუმარჯოს ამ დროშის ქვეშ მებრძოლ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას!

რ. სოც.-დემ. მ. პარტიის მომავალ კრების (სიეზდის) გამო.

ქვევით ჩვენ ვბეჭდავთ რუსეთის სოც.-დემოკრ. მუშათა პარტიის ცენტ. კომიტეტის (უმრავლესობა) განცხადებას, რომლითაც იგი იწვევს რ. ს.-დ. მ. პარტიის მეოთხე კრებას (სიეზდს) და ვბეჭდავთ აგრეთვე ამხანაგ ლენინის წერილის ამავე საგნის შესახებ. როგორც ც. კ-ს განცხადება, ისე ლენინის წერილი ნათელყოფს პარტიაში არსებულ უთანხმოების მოსპობას და ორ ფრაქციათ გაყოფილ პარტიის მიუცილებელ გაერთიანებას, „პარტიის მეოთხე კრებას—ვკითხულობთ ჩვენ ც. კ. განცხადებაში—ვიწვევთ მომწიფებული პოლიტიკური კითხვების გადასაწყვეტათ და უპირველეს ყოვლისა—პარტიის გაერთიანების მოსახდენათ“. ამნაირათ ახლო მომავალში უნდა განხორციელდეს ყველა გულწრფელ და თავდადებულ მუშაკების ნატვრა—შინაური განხეთქილების მოსპობა და ორი ფრაქციის გაერთიანება. ეს ნატვრა დღეს აღარ არის განყენებული ოცნების ნაყოფი. გაერთიანებას ჩვენ გვიკარხანებს თვით სინამდვილე, ამას თხოულობს დღევანდელი პოლიტიკური ვითარება. რუსეთის პროლეტარიატი რუსეთის რევოლიუციის მოწინავე რაზმია. დღემდის ყველა რევოლიუციონური ჯგუფები თუ კლასები პროლეტარიატს უკან მიჰყვებოდენ და ახლა იყო თუ ისე ბრძოლის დროს ზურგს უმაგრებდენ პროლეტარიატს. პროლეტარიატის და დანარჩენ საზოგადოებრივ კლასების მიზანი ერთი და იგივე ხომ არ არის, ლიბერალური და რადიკალური ბურჟუაზია მხოლოთ რევოლიუციის განსაზღვრულ საფეხურამდე მიყვებოდენ პროლეტარიატს. პროლეტარიატისთვის კი დღევანდელი რევოლიუცია მხოლოთ მაშინ დამთავრდება, როცა რუსეთში დაფუძნდება დემოკრატიული მართვა-გამგეობა. პროლეტარიატის ძლევა-მოსილმა მოძრაობამ და მისმა პოლიტიკურმა გავლენამ საზოგადოების ჩამორჩენილ ელემენტები-ბურჟუაზიული პარტიები ძალზე დააფრთხო და შეაშფოთა და ისინი კავშირებს და ორგანიზაციებს აწყობენ რევოლიუციონური პროლეტარიატის მოძრაობის შესაჩერებლათ. ამიტომ ისინი, აქამდის რევოლიუციის მოკავშირენი, დღეს უკვე რეაქციონური მთავრობის ბანაკში გადადიან და კონტრ-რევოლიუციის მოხდენას შეელიან.

რაღა თქმა უნდა ასეთ დროს საჭიროა რუსეთის მებრძოლი პროლეტარიატის გაერთიანებული ძალა და ენერგია სულ მთლათ ამ რეაქციონურ ელემენტებს, ყველა ბურჟუაზიულ პარტიებს დაუპირდაპირდეს, როგორც ერთი განუყოფელი პარტია. ამას გრძნობს დღეს პარტიის ორივე ფრაქციის წარმომადგენლები, პარტიის ყველა წევრი. გარდა ამისა გაერთიანების საქმე დღეს დიდათ გაადვილებულია. ორგანიზაციული კითხვები, რომლებიც ამ შინაურ უთანხმოებაში საკმარისათ დიდ როლს თამაშობენ, დღეს თითქმის აღარ არსებობს. პარტია უნდა მოეწყოს საარჩევნო სისტემის წესზე. ტაქტიკური ხასიათის კითხვებშიაც ისეთი განსხვავება აღარ არის, როგორც წინეთ იყო. ერთი სიტყვით, ის დაშორება, რომელიც დღემდის არსებობდა პარტიის ორ ფრაქციას შორის, დღეს თითქმის აღარ არსებობს. ორივე ფრაქციის ადგილობრივი ორგანიზაციები უკვე ახდენენ დროებით შეთანხმებას, სანამ პარტიის ცენტრალური დაწესებულებები მოახდენდენ საბოლოო გაერთიანებას ორ ფრაქციას შორის. ეს ფაქტი საბუთს გვაძლევს ვიწინასწარმეტყველოთ, რომ ეს გაერთიანება უეჭველათ მოხდება, და მოხდება ახლო მომავალში. საჭიროა მხოლოთ, რომ ორივე ფრაქციის წარმომადგენელებმა უარყონ ზედმეტი ფორმალიზმი და ფრაქციული თავმოყვარეობა. ყველაზე წინ დღეს უნდა დაყენებულ იქნას მთელი პარტიის ინტერესი. ამაში უნდა ვხედავდეთ პარტიის ერთ უმთავრეს ტაქტიკას დღევანდელ პოლიტიკურ პირობებში.

შეერთების საკითხი გადაწყდება, რასაკვირველია, ორივე ფრაქციის წარმომადგენლების შეერდებულ კრებაზე. ამ კრებაზე პარტიის ყველა ორგანიზაციების მხრით ფართო მონაწილეობის მიღება უზრუნველ ყოფილია, ასე რომ მისი გადაწყვეტილება ეს პარტიის უმრავლესობის სურვილის გამოხატვა იქნება და როგორც ხსეთი, მისი დადგენილებანი პარტიის ყველა ორგანიზაციებისათვის და ყველა წევრისათვის სავალდებულო უნდა შეიქნას.

სხვა და სხვა ამბები.

15 ნოემბერს დიდუბეში მებაღეების მიტინგი იყო დანიშნული. მიტინგს 200-დე კაცი დაესწრო. მებაღეები დიდი სიხარულით მიეგებენ ერთმანეთს, ჩამოსულები იყვნენ გლდ-

ნის, ზემო ავჭალის და კასპის მებაღეები და აგრეთვე მიტინგს დაესწრენ საბაღოსნო სასწავლებლის შეგირდები. კრება ნაშვადღევის მეორე საათი იქნებოდა რომ გაიხსნა. თავმჯდომარეთ აირჩიეს ს.—დ. ორგანიზაციის წევრი, რომელმაც დიდი თანაგრძნობა გამოუმცსადა მებაღეებს. ილაპარაკა ოთხმა ორატორმა. მათ შორის ერთი სოციალისტ-რევოლიუციონერი იყო, რომელსაც მებაღეებმა დაახლოებით ასეთი პასუხი გაცეს: ჩვენს სიცოცხლეში მიწას ვმუშაობთ, მაგრამ მაინც ღარიბი ვართო. შემდეგში ს. - დ. მუშათა პარტიის წევრმა აუხსნა სხვა და სხვა პარტიების მიზანი.

შემდეგი მიტინგი დანიშნული ოთხშაბათისთვის 24 ნოემბერს.

კრებამ დაადგინა შემდეგი რეზოლიუცია:

1. ვცნობთ კავშირს მთელი კავკასიის მებაღეებისას ს. ს. დ. მუშათა ორგანიზაციის ხელმძღვანელობით;

2. მებაღეები, რომლებსაც იჯარით გვაქვს ბაღი, უარს ვუცხადებთ იჯარაზე და ვთხოულობთ ჯამაგირზე მიღებას.

3. მიღებულ იყვნენ ყველა ისენი, ვინც დათხოვილ იქმნა.

— 15 ნოემბერს დაიწყო სართო გაფიცვა ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა. ეს გაფიცვა მთელ რუსეთს მოედვა და ჯერაც არ შეწყვეტილა.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგემ დურნოვომ და ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ-სამმართველოს უფროსმა სევასტიანოვმა ცირკულიარით შეატყობინეს ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსებს: რადგანაც შესაძლებელია ფოსტა ტელეგრაფის მოხელენი გაიფიცენ, რაც მეტის-მეტათ არა სასურველი მოვლენა იქნება, განკარგულება მოახდინეთ, რომ, თუ ვინიცობაა გაფიცვა მართლა მოხდა, ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში ნამსახური ძველი მოხელენი, რომელნიც ახლა სამსახურიდან გადამდგარნი არიან. მოიწვიოთ გაფიცულ მოამთხელეთა მაგივრადაო. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსებმა შესაფერი განკარგულება მოახდინეს ამის შესახებ. («ივ.»).

— 16 ნოემბერს დილიდან თფილისის ფოსტა-ტელეგრაფის სადგურში მუშაობდენ კავკასიის საპიონრთა პირველ ბატალიონის ჯარის-კაცები, რომელთაც ტელეგრაფზე მუშაობა ძალიან უჭირდებოდათ. გამოირკვა, რომ ჯარის კაცებს ასეთ სერიოზულ მუშაობის შესრულება არ შეუძლიანთ. „უიტსონის“ სისტემის აპპარატებზე სრულებით ვერ იმუშავეს. მუშაობდენ მხოლოთ „მორზე“-სა და „იუზა“-ს აპპარატებზე. იყო ისეთი შემთხვევები, რომ ჯარის კაცნი მოსკოვში გასაგზავნ დეპეშებს მანგლისში გზავნიდენ.

— ქალაქის სხვა და სხვა უბნის მცხოვრებნი უკვე შეუდგენ ზრუნვას თავსაკავ ორგანიზაციის დაარსების შესახებ. მოლაპარაკება მოხდა მე-9, 8 და 4 ნაწილებში.

— 12 ნოემბრისთვის თფ. ქალაქის საბჭოს კრება იყო დანიშნული. რადგან ხმოსანთა კანონიერი არ გამოცხადდა, გაიმართა კერძო თათბირი. ნაძალადევის ერთმა მცხოვრებმა წარუდგინა კრებას სია ხულიგანების მიერ აკლებულ ხალხისა და აცნობა, როგორ იქცევიან ხულიგანები ქალაქის ამ ნაწილში და წინადადება მიცა განიხილოს საკითხი თავის დაცვისა და მილიციის დაარსების შესახებ. კარგა ხანს კამათის შემდეგ გამოირკვა, რომ საჯარო კრებაზე ამ საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია. (ს. ფ.)

— თფილისის ქალაქის საბჭომ 5000 მან. გადასდო დაზარალებულ გურულების სასარგებლოთ.

— თფილისის გოროდოვოებს 150 კაცი ემატებათ. გოროდოვოებათ მთავრობა ნიშნავს სათადარიგო ჯარის კაცებს და თვეში 15 მანათს უნიშნავს ხაზინიდან.

— თფილისის ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა კავშირმა გადაწყვიტა, ტფილისის სოციალ-დომოკრატიულ ორგანიზაციას შეუერთდეს. თითოეული მოსამსახურე ჯამაგირიდან ერთს პროცენტს გადასდებს. შეგროვილ ფულიდან რამდენიმე პროცენტი სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციას გადაეცემა, ზოგი კი მოსამსახურეთა კავშირს მოხმარდება.

— კავკასიის ნამესტნიკმა გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა თავის საგანგებო ბრძანებაში № 309 სასტიკათ აუკრძალა ჯარის კაცებს პოლიტიკურ კრებებსა, მიტინგებსა და კავშირებში მონაწილეობის მიღება. ბრძანების დამრღვევნი სასტიკათ იქნებიან დასჯილნი. ნამესტნიკი წინადადებას აძლევს ჯარის უმფროსებს, ყური უგდონ სალდათებს, რომ მისი ბრძანება არ დაარღვიონ.

— 14 ნოემბერს მიტინგი ჰქონდათ ტფილისის საპიორთა ბატალიონის ჯარის კაცებს. მიტინგის გამართვამდე ჯარის კაცებმა ნებართვა ოხოვეს მორიგ აფიცერს, მაგრამ მან განაცხადა, რომ მე არ შამიძლიან ნება დავრთოთო. შემდეგ სალდათებმა ნებადაურთველათ გამართეს მიტინგი, რომელზედაც შემდეგი მოთხოვნილებანი შეიმუშავეს: 1) სამხედრო სამსახურში ჯარის კაცნი მხოლოთ ორ წელიწადს რჩებოდნენ, 2) მიეცეთ ნება საინტენდანტოს რევიზიის მოსახდენათ სალდათებისგან კომისიის არჩევისა, 3) უფროსები ჯარის კაცებს ზრდილობიანათ ეპყრობოდენ, 4) თითოეულ ჯარის კაცს თვეში ხუთი მანათი ჯამაგირი დაენიშნოს, 5) გაძევებულ იქმნენ სათადარიგო ჯარის კაცნი, რომელნიც თავის ხულიგანურ მოქმედებით ჯარის კაცებს ღირსებას ჩირქსა ცხებენ, 6) გაუმჯობესებულ იქმნას ბინა, საჭმელი და ტანისამოსი და 7) სამსახურის გათავების შემდეგ, თითოეულ ჯარის კაცს ჯილდოდ 25 მანათი მიეცეს.

— გორის ნაწილის ახალ ჯარის კაცებს 8 ნოემბერს გორში კრება გამართეს, რეზოლიუცია შეიმუშავეს და მთავრობას შემდეგი მოთხოვნალებანი წარუდგენეს: 1) სალდათები უნდა დარჩნენ სამშობლოში და იმ გუბერნიებში, სადაც მიწერილნი არიან, 2) ყოველ სალდათს უნდა დაენიშნოს თვეში 5 მანათი ჯამაგირი, 3) უფროსები ზრდილობიანათ უნდა ეპყრობოდენ თავის ხელ-ქვეითებს და 4) სამსახური უნდა იყვეს ორი წელიწადი. სანამ ამ მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებთ, ფიცს არ მივიღებთ და სამსახურში არ წავალთო—აცხადებენ ჯარის კაცნი.

ამავეარიე მოთხოვნილებანი წარადგინეს ნოვობაიზეთისა და გორის პოლკებმა და არტილერისტებმა.

— ამ უკანასკნელ ორ კვირაში სევასტოპოლში დიდი ამბები მოხდა. მთელი შავი ზღვის ესკადრა აჯანყდა, მათ ქვეითი ჯარიც მიემხრო, აჯანყებულებმა ქალაქი ხელში ჩაიგდეს, უფროსები: აფიცრები და ყველა დიდი მოხელეები დაატუსაღეს და ქალაქის მართვა გამგეობას თითონ შეუდგენ როგორც დეპეშები იტყობინებიან ქალაქში საუცხოო წესრიგი სუფევს რევოლიუციონერ მატროს—ჯარის-კაცთა თადარიგის წყალობით...

— სარაჯიშვილის ქარხანაში მუშები გაიფიცენ. გაფიცულ მუშათა რიცხვი ორმოცდაათამდეა. გაფიცულნი არიან დღიური მუშები. გაფიცვის მიზეზი ის გარემოებაა, რომ მათი ბედი ყოველთვის რყევაშია: თუ ერთს კვირას ამუშავებენ, მეორე კვირწს უსაქმოთა რჩებიან; თუმცა დღიურ მუშებს ხელფასათ დღეში 75 კაპ. ეძლევათ, მაგრამ, რა თქმა უნდა,

მათთვის ხელსაყრელია თვიურად ყოფნა განსაზღვრულის ჯამაგირით და მუშებიც თვიურ ჯამაგირზე მიღებას თხოულობენ. დღიურ მუშათა მოთხოვნილებას თვიური მუშებიც მხარს უჭერენ.

— კვირას, 13 ნოემბერს, კრება ქონდათ ტფილისის ფარმაცევტებს. განსახილველი საგნები იყო: 1) ფარმაცევტთა დამოკიდულება 17 ოქტომბრის მანიფესტთან, 2) განმათავისუფლებელ ბრძოლის დროს დაზარალებულთა შემწეობა და 3) მცხოვრებთა თავის დამცველ მილიციის დაარსება. პირველ საგნის შესახებ კრებამ გამოსთქვა ის აზრი, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტი არავითარ თავისუფლებას არ გვანიჭებს, რადგან გრაფ ვიტტეს მთავრობა ხალხის დამშვიდების საქმეში ისევ რეპრესიულ ზომებით ხელმძღვანელობს. ამის გამო კრებამ შემდეგი რეზოლუცია მიიღო; „ახლანდელი მთავრობა ხელს უშლის რევოლუციას. ფარმაცევტთა კავშირის აზრით, მხოლოთ რევოლუციონურის საშუალებით შეიძლება დამფუძნებულ კრების გახსორციელება, რომელიც 3-წვეულ უნდა იქმნეს საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორად და ფარულ კენჭის ყრით“ კრებაზე აგრეთვე გადაწყდა ფარმაცევტთა შორის ხელის მოწერით შეიკრიბოს ფული და გადაეცეს იმ პირთ, რომელნიც მოძრაობის დროს ძლიან დაზარალდნენ —გურულთ და ქართლელებს. საგანი თავის დაცვ-ს შესახებ საბოლოოდ არ გადაწყვეტილა. შემდეგი კრება ფარმაცევტებისა დაინიშნა დღეისთვის (ივ.)

— ქართველ მასწავლებელთა კრება. ორშაბათს, 21 გიორგობისთვეს, საღამოს 7 საათზე, სამეურნეო ბანკის სადგომში დანიშნულია ქართველ მასწავლებელთა კრება; კრების მიზანია დაარსება ქართველ პედაგოგების საზოგადოებისა, რომელმაც ახალი პროგრამით უნდა მოაწყოს ქართული სკოლა,

— თფილისში არსდება სოციალ-დემოკრატიულ ყოველ დღიურა გაზეთი რუსულ ენაზე, რომელსაც ეწოდება „Кавказскій Рабочій Листокъ“. გაზეთი გამოვა 20 ნოემბრიდან.

— გაზ. „იველრიის“ სიტყვით, ამ დღეებში მინგრელსკი პოლკის ჯარის კაცებს კრება ქონიათ, რომელზედაც თავიანთი მოთხოვნილებანი შეუმუშავებიათ და პოლკის უფროსისათვის წარუდგენიათ. მოთხოვნილებანი შეეხება სათადარიგო ჯარის კაცთა სამსახურიდან დაუყოვნებლივ განთავისუფლებას, საჰმლისა, ბინისა და ტანისამოსის გაუმჯობესებას, უფროსებისაგან ზრდილობიან მოპყრობას, ყოველ ჯარის კაცისთვის თვეში 5 მანეთის დანიშვნას და სხვა. პოლკის უფროსი ჯარის კაცებს დაპირებია, რომ ამ მოთხოვნილებებს სავსებით დავაკმაყოფილებთო. საჰმელი, როგორც გავიგეთ, უკვე გაუმჯობესებიათ.

კორესპონდენციები.

ს. სარიყამიში. (ყარსის ოლქი). 15 ოქტომბრიდან დაწყებულმა მთელი რუსეთის გაფიცვებმა ყარსის ოლქის მცხოვრებნიც აამოძრავა.—სარიყამიშში 16 ოქტომბერს დაიკეტა დუქნები და მაღაზიები და ცხოვრება ერთიანათ შესწყდა; სარიყამიშიდან ყარსამდე და ს. ყარაურგანამდე ტელეგრაფის მავთულები გააფუჭეს, გასწყვიტეს და სარიყამიში მთელი დღე მოწყვეტილი დარჩა ყარსს. აქაური ადმინისტრაცია ძლიერ დააფთხა ამ ამბავმა. დარწმუნებული იყვნენ რომ სარიყამიშში არაფერი „ბუნტის“ მსგავსი არ მოხდებოდა: ეს ჩვენი (ბიუროკრატების) მყუდრო, მშვიდი ალაგიაო, და ვის შეუძლია პროტესტის გამოცხადებაო! ასე დაიმედებული იყვენ, მაგრა სინამდვილემ სხვა დაანახვა სხვა აფიქრებია. ღმერთმა ვერ ისვენებდეს, ღამე არ ეძინათ რა იქნება? შეშფოთებულ ამყოფებით? მათ ის აიშედებდათ, რომ პოლკებში (ამ ბრძოლაში პირველ დგას, ეხლა კი ორი ბატალიონია, რადგან დანარჩენი თფილისშია გაგზავნილი წესრიგის აღსადგენათ!) ვიშოვით «რჟანოი» პურსო.

გაფიცვამ ორი დღე გასტანა, რადგან დეპეშამ გვაცნო, რომ თვითმპყრობელობა რაღაც კონსტიტუციათ შეიცვალა და ქალაქებშიაც გაფიცვები დასრულებულაო, კონსტიტუციის ხსენებაზე ხომ სულ «გაკოფდენ» და ჯერ კიდევ არ ჯერათ, სანამ ოფიციალურათ არ გამოცხადდება.

17 ოქტომბერს კუბანის პოლკის, მე-2 როტის სალდათები, რიცხვით 180 კაცი გაიფიცენ. კოლლექტიური ქალაღდი მიართვეს პოლკის კომანდირს და თხოულობდენ როტის კომანდერის შტაბს-კაპიტანის ჯაფარიძის გადაყენებას, გამოცვლას, რადგანაც ჯაფარიძე უდიერათ ეპყრობოდა სალდათებს.

იმავე დღეს ელისავეტპოლის პოლკის დროებით კომანდერს ხელმოუწერელი ბარათი გაუგზავნეს წელს სამსახურ დასრულებულ სალდათებმა, რომელთაც სახლში არ უშვებენ. წერილში თხოულობენ: ან გაგვიშვით სახლში, ან ნუ გვამუშავებთ და ყარაულში ნუ გვგზავნით წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ნებით წავალთო. შეშინებულმა კომანდირმა მეორე დღეს 18 ოქტომბერს, სამსახურ გათავებული სალდათები მოიხმო. და რომ არ «აბუნტებოდათ», თავის დასაცველათ ახალ სალდათებიდან შემდგარი ჯარები კომანდა გამოიყვანა თოფებით და პატრონებით. როცა შეეკითხა სამსახურ გათავებულ სალდათებს, «პრეტენზია» ხომ არა გაქვთო, ყველამ ერთხმათ გაუმეორეს ის, რასაც წერილში თხოულობდენ. ამ ორმა ფაქტმა სულ მთლათ აურია გონება «პომპოლიკებს», დაფრთხენ, იქით ეცენ, აქეთ ეცენ, მარა ჯერ ვერაფერი გამოიგონეს მათ დასამშვიდებლათ და შემდეგში რას იქმენ მოგავალი დაგვანახვებს.

ივანე.

დაბა ხარაგოული. (შორაპნის მაზრა). თავისუფლების შუქმა მოახწია. 23 ოქტომბერს თუმცა ღა წვიმიანი დღე იყო, მარა დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი სხვა დ ასხვა სოფლებიდან. ორი სოფლიდან წითელი ბაირაღებიც კი მოიტანეს. გაიმართა მიტინგი; პირველათ ხოროშ იმღერა მარსელიეზა და შემდეგ ორატორებმა აუხსნეს ხალხს მანიფესტის მნიშვნელობა და ისიც, თუ რამ აიძულა მთავრობა, რომ თავის თავი გაკოტრებულათ გამოეცხადებინა. დასრულდა თუ არა მიტინგი, ხალხმა ერთხმათ მოითხოვა, სანამ ჩვენი ამორჩეული კაცები არ გამოსცემენ კანონებს, მანამ ჩვენ ერთი გროშის გადახდა არ შეგვიძლიან, გვეყოს მოტყუებაო.

26 ოქტომბერს შეიკრიბა ხარაგოულის საზოგადოება; ამ დღეს უნდა გაესამართლებიათ ამ საზოგადოების მამასახლისი გლახუა კოპაძე, რომელსაც ბრალდებოდა საზოგადოების ფულის მითვისება, მექრთამეობა, ჯაშუშობა და სხვ. საზოგადოებამ აირჩია კომისია, რომელმაც საქმის გამოძიების შემდეგ აღმოაჩინა შემდეგი. მამასახლისს კოპაძეს მიუთვისებია 258 მან., მთავრობისთვის კი უცნობებია, ეს ფულები, როცა კანცელიარიის შენობა დაარღვია ხალხმა იქ მჭონდა და მომპარესო. ამ დროს ქუთაისის გუბერნიაში საომარი დროის წესები იყო გამოცხადებული, ამიტომ მთავრობამ ექსეკუციის საშუალებით 6 საათის განმავლობაში გადააბედევინა ხარაგოულის საზოგადოებას ეს ფული. გარდა ამისა აუღია ქრთამათ მედუქნეებისაგან 200 მ., უთქვამს კანცელიარიის

შენობის დანგრევაში თქვენ მონაწილეობა მიგიღიათ და მიტომ თუ 200 მანეთს არ მიმცემთ მთავრობასთან დაგაბეზღებ და გადაგასახლებენო. საზოგაოებამ გამოუცხადა მამასახლისს ზიზღი და დაადგინა გადახდეს 458 მან. კოპაძეს და ეს ფული გადაიდოს სამკითხველო—თეატრის შენობის ასაგებ თ.

გაუნათლებელ უსწავლელ მამასახლისს არც ნასწავლი და დიპლომიანი ექიმი ბ-ნი მ. ლორთქიფანიძე ჩამორჩენია. საზოგადოებამ მის წინააღმდეგაც განაცხადა საჩივარი, რომ ექიმი ტყუვს გვაძრობს, გვაგინებს, უდიერათ გვეპყრობა და ზოგს ჩვენგანს ხელითაც კი შეგვეხოო და სხვ. რამოდენიმე ახალგაზდამ იკისრა ამ საქმის გამოძიება და შეუდგა ფაქტების შეგროვებას და სამწუხაროთ იმდენი ფაკტები შეგროდა, რომ არც მოველოდით. ეს დიპლომიანი ვაჟბატონი, არა თუ შედიოდა გაჭირვებულ გლეხის მდგომარეობაში, პირიქით ფეხის ქარას ერთი ორათ ახდევინებდა, სახელმწიფო ქსენონში, რომელიც უფასოა ყველასათვის ის თურმე ფულს ახდევინებდა, მაგ., ერთი გლეხისთვის გადაუხდევინებია 25 მანეთი, მეორესთვის 10 მ., მესამესათვის 6 მანათი და სხვ. ქალებს უშვერი სიტყვით აგინებდა. სოფელ ლაშეში ეუცელათ ავათმყოფთან არც თითონ წავიდა და არც ფერშალი გაგზავნა. ავათმყოფი უპატრონოთ მოკვდა, თუმც-და ამისათვის მას ფეხის ქირა ხაზინიდან ეძლევა წინდაწინ ავანსით. მოსამსახურე ბიჭისთვის, რომელსაც ხაზინიდან ეძლევა ჯამაგირი თვეში 15 მან., მას უძლევია 4 მ. 20 კ., დანარჩენი კი თითონ მიუსაკუთრებია. შეშა უყიდნია საქენი 14 მან., ანგარიშში კი ნაჩვენები აქვს საქენი 30 მან. და სხვა მრავალი. ბევრი უჩივლეს, მარა ყურადღება არავინ მიაქცია. დღეს თავისუფალმა ხალხმა მოითხოვა მისი საჯარო გასამართლება. დღემდის ყოვლად ძლიერი, ხოლო დღეს კი უძლური ბიუროკრატი-ექიმი შედრკა, გაექცა საჯარო სამართალს, ბ. გუბერნატორს დათხოვნის ქაღალდი მიართვა და ასე უნდოდა აეცილებინა ხალხის მსჯავრი! ხალხმა მის ნაცვლათ აირჩია ახალგაზდა ექიმი საყვარელიძე. ვნახოთ როგორ გაამართლებს ბ. საყვარელიძე ხალხის ნდობას.

კასიო.

—

ოდესა, 3 ნოემბერი, 1905 წელი. სტუდენტობამ მიიღო ჩვენი რეზოლიუცია (ისკრა № 107) და ჩვენც, რასაკვირველია, ფართოთ მოვიხმარეთ უნივერსიტეტის შენობა. დადგა მატინგების ხანა.-ჩვენი ქვემძრომი ორგანიზაცია მზის სინათლეზე გამოვიდა, ჩვენი ორატორები თავისუფლათ ეწეოდნენ აგიტაციას, მიტინგს ესწრებოდა 10 იდან 20 ათასამდე მოქალაქე და მუშები. ცეცხლისთვის საჭირო იყო მუგუზალი, რომალი ამოვარდნილიყო... და აი კიდეც მოგვისწრო საერთო პოლიტიკურმა გაფიცვამ. აქაურ სამმა (უმცირესობა, უმრავლესობა, ბუნდი) სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებმა გამოსცეს საერთო პროკლამაცია მოწოდებით; «გაუწოდეთ ხელი ამხანაგებს, გაიფიცეთო!» გაფიცვაც დაიწყო. პირველათ გაიფიცნენ საშუალო სასწავლებლის მოწაფეები.- ოდესის ქუჩები აივსო ყმაწვილების ჟივილხივილით... საუბედუროთ, ხალამოს მოწაფეებს დაეცა პოლიცია და ყაზახები; ბევრი დაიჭრა. მოწაფეების ფაფიცვას მოყვა უნივერსიტეტის დაკეტა—ეს მაფათს. კვირას დასახელებულ ორგანიზაციებმა მიიწვიეს ქარხნის მუშები ქალაქის დასაკეტათ.. ქუჩები ერთიანათ ამოვსებული იყო. ხალხის აღელვებამ უმაღლეს წერტილამდე მიაღწია. გაცარცვეს თოფწამლის მაღაზია, დაიწყო ბარიკადების კეთება. მოხდა შეტაკება ხალხსა და ჯარს, ყაზახების და პოლიციის მეხვერპლი ბევრი იყო. რამოენიმე ამხანაგიც დაგვეჭრა, ორშაფათს საერთო გაფიცვა განვახორციელეთ.. ამასობაში 17 ოქტომბრის ცნობილმა მანიფესტმაც მოგვისწრო.. ქუჩები თვალის დახამხამებაში აივსო ხალხით.. ყველაზე მეტი ხალხი შეჯგუფდა ქალაქის შენობის წინ.. იქმნებოდა 100,000 კაცი.- 100 წლამალი დროშა დაყურებდა მიტინგს. ლაპარაკობდენ ჩვენი ამხანაგები და უხსნიდნენ მსმენელთ პოლიტიკურ მომენტს... იქნებოდა სამი საათი, რომ გვაცნობეს დალნიცკის ქუჩაზე აკლება, ურიების ხოცვა-ყლეტა და ცარცვა დაწყებულა.. მაშინათვე მივიღეთ ზომები, მარა ვერ შევძელით ამ აკლების შეჩერება... ჩვენ შეიარაღებულ რაზმებს ხულიგანებს გარდა უხდებოდა ბრძოლა ჯართან და პოლიციასთან... ორივე უკანასკნელი ჩვენ თოფებს გვახლიდნენ.. სამი დღე და სამი ღამე გაგძელდა შინაური. სამოქალაქო ომი... დახოცილია ხულიგანების და პოლიციის მხრით, ბევრი დაიხოცა ურიები, ბევრი დაიხოცა ჩვენი მხრით. დახოცილთა რიცხვი უდრის 1,500 კაცს, მძიმეთ დაჭრილთა 3000 კაცს, მსუბუქათ დაჭრილთა დათვლა შეუძლებელია.

უკანასკნელ დღეებში ჩვენი ორგანიზაციული და პოლიტიკური გავლენა საათობით იზდება...

ცოტათ თუ ბევრათ სოციალებიდან გამოვძვერით; კონსპირაცია ეხლა არ არსებობს და ხელი მივყავით ლეგალურ მასიურ მუშაობას; დავაარსეთ და კიდევ ვაარსებთ პროფესიონალურ კავშირებს, დღეს-ხვალ გვეყოლება ჩვენი ორგანიზაციის წყალობით «მუშების დეპუტატების რჩევა», დღეს-ხვალ გამოვცემთ პარტიულ გაზეთსაც... აქაურ უმცირესობის და უმრავლესობის ორგანიზაციის ცენტრებმა მოვილაპარაკეთ და შევთანხმდით შეერთებაზე.- ხვალ პირველ საათზე ორივე ორგანიზაციის (in corpore) კრებაა, შერთება უსათუოთ მოხდება; მუშები ამის მსურველია. შეერთების შემდეგ უმვავლესობის და უმცირესობის კომიტეტები, როგორც ასეთები, მოისპობა; მის მაგიერ მთელი სოციალდემოკრატიული მასსა ამოირჩევს ერთ კომიტეტს რ. ს. დ. მ. პ. შეერთება ორ საფუძველზე უნდა მოხდეს: ამორჩევითი წესი და არც ერთი ცენტრის გადაწყვეტილება სავალდებულო არ არის; მიღებული იქნება იმ ცენტრის ტაქტიკა ამა თუ იმ კითხვის შესახებ, რომელსაც მოიწონებს კომიტეტი. დამოკიდებულება გვექნება როგორც ცენტრ. კომიტეტთან, ისე ორგან. კომისიასთან.

რუსეთი.

გრაფ ვიტტეს წერილის შესახებ, რომელიც დაწერილია «მუშათა-მუშათა» მიმართ, მუშ. დეპ. კრებამ ხმა-ცნობილი ტაშის ცემით მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„მუშათა დეპუტატების საბჭომ მოისმინა რა გრაფ ვიტტეს ტელეგრამმა „მუშათა-მუშათა" მიმართ, უპირველესად ყოვლისა მეტის-მეტ განცვიფრებას აცხადებს ამ მეფის მოადგილის თავხედობის შესახებ და კითხულობს: რა ნირობაში უწოდა მან პეტერბურგის მუშებს «მუშები»? ბროლეტარებს არავითარი ნათესაობა არა აქვთ გრაფ ვიტტესთან. საბჭო აცხადებს:

1) გრაფი ვიტტე ჩვენგან ჩვენიგე ცოლშვილის შებრალებას ითხოვს. მუშათა დეპუტატების საბჭო ამის საპასუხოთ მოუწოდებს ეგეთ მუშებს და თხოვს დათვალონ: რამდენი ქვრივ-ობოლი მოეტატა მუშებს, მას შემდეგ რაც ვიტტემ სახელმწიფოს მართვა-გამგეობა ხელში ჩაიგდო.

2) გრაფ ვიტტე მუშებისადმი „მოწყალე უურადღება"-ზე დაბრალობს. მუშათა დეპუტატების საბჭო მოითხოვს პეტერბურგის ბროლეტარიატს სისხლით შეღებილ ცხრა იანვრის დღეს.

3) გრაფ ვიტტე გვთხოვს მოვცეთ „დრო" და ცვბრდება რომ „რაც შეუძლია" დახმარებას აღმოგვიჩენს. მუშათა დეპუტატების საბჭომ იცის, რომ ვიტტემ კიდევაც იშოვა „დრო" და

ხოლონეოი სამხედრო ჯალათების მისცა გასანადგურებლათ. მუშათა დეპუტატების სახელო დარწმუნებულია, რომ ვიტტე ,,რაც შეუძლია‘, ეცდება დაიხრჩოს რევოლიუციონური პროლეტარიატი.

4) გრაფი ვიტტე ამბობს, რომ ამას ჩვენთვის კეთილი სურს. მუშათა დეპუტატების სახელო იცის, რომ მუშათა კლასისთვის სრულიად არ არის საჭირო მეფის ,,მოადგილეების კეთილი სურვილები. მუშები ითხოვენ ხალხის მმართველობას, საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით ამორჩეულს.

—პეტერბურგის ზავოდებში და ქარხნებში მოხდა კრებები რომლებზედაც ხოლონეოში სიომარ წესების შემოღების და კრონშტადელი მატროსების სამხედრო სამართალში მიცემის შესახებ. მრავალი რეზოლიუციები გამოიტანეს. მოგვყავს ორი მათგანი:

დესსნერის ზავოდის მუშების რეზოლიუცია:

კრონშტადტის ჯარისკაცების ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ. სამინელი და აუცილებელი სიკვდილი უთვალთვალებს თვითმმყრობელობას, რადგანაც ის კარგავს ოვის უკანასკნელ მომხრეს—ჯარს. ჩვენ, დესსნერის ზავოდის მუშები, მხურვალე სალამს ვუძღვნით ამხანაგ-მებრძოლთ, ენერგიულ ბროტესტს ვუცხადებთ მთავრობას, რომელსაც უნდა სამხედრო სამართალში მისცეს მატროსები და სიკვდილით სასჯელი დაუმტკიცოს მათ. ჩვენ ვეხვდებით, რომ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციების მოწოდებისთანავე აქტიურ დახმარებას გავუწევთ ჩვენ ამხანაგ-მატროსებს. მოვკონებთ დანარჩენ ჯარისკაცებს, რომ ისინი ჩვენი ძმებია და თუ კარგათ შეიგნებენ ჩვენ მიზანს და მისწრაფებას, დარწმუნდებიან, რომ ისინი იმისათვის უნდა იბრძოდენ, რისთვისაც ჩვენ ვიბრძვით; ჩვენ მოვუწოდებთ იმათ ჩვენთან ერთათ თვითმმყრობელ მთავრობასთან საბრძოლველათ დემოკრატიული რესპუბლიკის და სახალხო მიღიციის მოსპობელათ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის წითელი დროშის ქვეშ მოქმედებით.

ვიბორგის რაიონის დეპუტატთა რეზოლიუცია, მიღებული 31 ოქტომბრის კრებაზე:

,,ჯარისკაცები მატროსები—ჩვენი ამხანაგები და თანამგრძნობი არიან. ჩვენ სიხარულით მივესალმებით იმათ, როგორც ჩვენ მომავ-მებრძოლთ. ჩვენ ბროტესტს ვუცხადებთ მთავრობის იმ სისტემაი ზომებისთვის და სასჯელისთვის, რომელიც იმას სურს იხმაროს ჯარისკაცების წინააღმდეგ. ჩვენი ამომრჩეველი ქარხნების მუშების სახელით ჩვენ ვაცხადებთ, რომ მზათ ვართ ხოლიტიკური გაფიცვების და დემონსტრაციებისთვის. ჩვენ დაუინებით ვითხოვთ სამხედრო სამართალის, სიკვდილით დასჯის და მუდმივი არმიის მოსპობას. სანამ მუდმივი არმია იქნება დისციპლინის დასაცველათ, მთავრობის მხეცურ მოპერობას ებრძოლ სალათებთან ბოლო არ მოელება.

ჩვენ მოვითხოვთ ხალხის შეიარაღებას. ჩვენ წინადადებას ვაძლევთ მუშათა დეპუტატების სახჭოს დაუყონებლივ შეკრიბოს და გაცხადებთ ჩვენ აზრს ხოლიტიკური გაფიცვის და დემონსტრაციების აუცილებლობაზე, პროტესტის ფორმის სახოლათო გარჩევის კი, მუშათა დეპუტატების სახჭოს მივანდობთ“.

ამავე ხასიათის რეზოლიუციები გამოიტანეს პეტერბურგის უველა ქარხან-ზავოდებში მუშებმა ხოლონეოში სიომარ დროის წესების შემოღების შესახებ.

—

7 ნოემბერს 12 საათზე მუშათა კავშირის ბეჭდვითი საქმის ბიუროს შენობაში შეცვივდენ ამ უბნის ბოქაული თავისი თანაშემწეთ, ხოლიციელებით და ჯარისკაცებით. ხოლიცია გარს შემოერტყა შენობას და განაცხადა რომ გარეთ არავის გაუშვებენ. ახალშემოსულებსაც შენობაშივე ტოვებდენ. როდესაც ერთმა მუშამ გარეთ გამოსვლა მოინდომა ვიღაც ხოლიციელმა ამას კუდზე ხელი ჰკრა და სიდღაც მიიშალა. მეორე ხოლიციელმა მადანინმა, რომელსაც ბიუროში მეოთხე მუშებმა მოთხოვეს ხოლიციის მათ შენობაში შეკრძნის და აქ მყოფ ხერთა უკანონოთ დაპეჭვების მიზეზი, უწმაწური სიტყვებით გაისუხი. გამოირკვა, რომ ხოლიცია პეტერბურგის კრონშტადელებს და ს.—ხ. ბ. სამოსამართლო პალატის პროკურორის მოწერილობით მოქმედებდა. ხოლიციას აზრათ ქონდა პეტერბურგის მუშათა დეპუტატების სახჭოსკენ გამოცემული ,,მუშათა დეპუტატების სახჭოს ცნობები“ (,,Извѣстія С. Р. Дом.“) ჩაეგდო ხელში. ხოლიციამ უბრძანა მუშებს ,,ცნობების“ დანარჩენი ეგზემპლიარები (35 ათასიდან 131-და იოო) მათთვის გადაეცათ, მარა მუშებმა უპასუხეს, რომ ეს ბრძანება იმათ უკანონოთ მიაჩნიათ და გაზეთის არც ერთ ეგზემპლიარსაც არ მისცემენ იმათ. ხოლიციამ გამოაწვია პროკურორის თანაშემწე ბიკოვი, ხოლიციმეისტერი, ჟანდარმის ხოლოლოვნიკი კონისკი, რომლებმაც განაცხადეს რომ გაზეთის ეგზემპლიარები უსათუოთ უნდა ,,დაიჭირონ“. უველა აქ მყოფმა მუშების წარმომადგენლებმა ზიზღი გამოუცხადეს ხოლიციელებს ძალადობისთვის, ხოლიციის და ჯაშუშების უზრდელობის და თვითნებობისთვის. მუშათა ბრძოლით მოპოებულ მოქალაქეობრივ თავისუფლების, და კერძოთ ბეჭდვის და სიტყვის თავისუფლების ძალით, მუშათა დეპუტატების სახჭოს თავმჯდომარემ გაახსენა აქ მყოფთ, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტში აღიარებულია ბრძოლით მოპოებული თავისუფლება და ამ ნაირათ ხოლიციელების საქციელი ოფიციალურათ უკანონოთ უნდა ჩაითვალოს, მათგან გაზეთის დაჭერა სურვილი ეროვლ სათუძველს მოკლებულია, რადგანაც იმათ სამოსამართლო პალატის მოწერილობაც არა აქვთ. მუშათა დეპ. სახ. წარმომადგენელმა და მუშათა კავშირის ბეჭდვითი საქმის წარმომადგენელმა ხოლიციის უხასუხეს რომ გაზეთის ნომრების წაღება იმათ მხოლოთ შეიარაღებული ძალით შეუძლიათ. პროტოკოლის შედგენის შემდეგ ხოლიციამ დასცალა შენობა და ქუჩაში მდგომ ცხენოსან ხოლიციელებთან და ჯართან ერთად კუდ-ამოძუებული წავიდა. (,,ნოვაია ჟიზნ“).

—

ბრძოლა რვა საათის სამუშაო დღისთვის.

ამ ჟამათ რვა საათის სამუშაო დღე არა თუ უახლოეს მოთხოვნას შეადგენს, პეტერბურგის პროლეტარიატისთვის ცხოვრებაში გატარებული ოქტია კიდეც. ფაბრიკანტების გლოვა-ტირილის მიუხედავათ რვა საათის სამუშაო დღე თითქმის უველგან შემოიღეს რევოლიუციონური გზით; ჯერ ჯერობით შემდეგმა ქარხან-ზავოდებმა შემოიღეს რვა საათის სამუშაო დღე: სემიონოვის, ობუხოვის, ბალტიის, ნოვო-ადმირალტეისკოს, იარდის, ნევის, ,,პტილოსმა, დესსნერმა, კოკუევნიკოვის, დიდი ოხტის, შაუსი (სართავი), არტისოვის, ბამბის სართავმა, ნაუმანის, კალინკინის, კალინკის, ეკსტერიხოვსკის, ვორონინის, ტორშიღოვის, ჩუშერის, შტიგლიცის, მაკეუევის, ბალის, ბანქოს ქარხანამ, სანთლის და ალექსანდროვსკის—25-მა უმთავრესმა და მოწინავე პეტერბურგის ქარხნებმა.

მაგრამ არც ფაბრიკების პატრონებს სძინავთ: ბირველი ექსი აქ ჩამოთვლილი ქარხანა დახურეს, დანარჩენებსაც ახლო მომავალში დახურავენ. ეჭვს გარეშეა, რომ საკარებელ მუშა ხალხს ქუჩაში მთავრობის თანაგრძნობით და დახმარებით ურიან; მათ მიერ ამორჩეული გზაც ცხადია: სუველა ქარხნების ერთათ დახურვა და რამდენიმე ასი ათასი ბროლეტარების გარეთ გამოურა გაუფრთხილებლობაა და მეტის-მეტი სიშიშია, ამიტომაც უნდათ ხანიდ-ხანიდათ მიხურონ ქარხნები.

9 ამ თვეს ამ შემთხვევის გამო სემიონოვის ქარხნის დეპუტატების სხდომა მოხდა. იმათ განიხილეს ეს საბუთი და ქარხნების დახურვის შემდეგი რეზოლიუციით უპასუხეს:

,,ამხანაგებო, პეტერბურგის ბროლეტარებო! ფაბრიკანტებს დ ზავოდჩიებს, ვიტტეს მთავრობის დახმარებით, უნდათ ქუჩაში გამოჰყვარონ რამდენიმე ასი ათასი მუშა ხალხი, ამით აღუდ-

გენ ისინი წინ რევოლიუციონური გზით 8 საათის სამუშაო დღის შემოღებას. ამხანაგებო! ჩვენ, სემიონოვის ქარხნის მუშებმა ვეველაზე უწინ შემოვიღეთ რვა საათის სამუშაო დღე და კაპიტალისტების და მთავრობის რისხვაც ვირველათ ჩვენ დაგვატყდა თავს.—ჩვენი ქარხანა დახურეს და ჩვენ ქუჩაში გამოგვყარეს. ამხანაგებო, თქვენც დღეს ოუ ხვალ ეს ბედი გეწვევათ და ჩვენ მოგიწოდებთ თქვენ, ძმებო, დაამტკიცეთ თქვენი ჩვენთან ერთობა, დაიხმარეთ 8 საათის სამუშაო დღისთვის საერთო ბრძოლას. მიატოვეთ ქარხნები, თავი დაანებეთ მუშაობას, დაუმტკიცეთ კაპიტალისტებს პეტერბურგის პროლეტართა ერთობა და ჩვენი შეურეველი გადაწყვეტილება—სამუშაო დღის შესამოკლებლათ ბოლომდის ბრძოლა. ამხანაგებო! ჩვენ ქუჩაში გვყრიან! მაშ შეკრთდეთ და მოგვგონოთ მთავრობას და კაპიტალისტებს ოქტომბრის ,,შავი'' დღეები.

გაუმარჯოს რვა საათის სამუშაო დღეს! პეტერბურგის პროლეტარებო, შეკრთდით ხელახლა და ისევ ბრძოლა—გამარჯვებამდის!''

უცხოეთი.

ევროპის ბურჟუაზია და რუსეთის რევოლიუცია. რუსეთის პროლეტარიატმა დღეს მთელი ქვეყანა გააცნობიერა თავის შეგნებული რევოლიუციონური მოძრაობით. სულ ცოტა ხნის განმავლობაში მას იმდენი ცნობიერება შეემატა, ისე გაიწვრთნა და გაფოლადდა რევოლიუციის ცეცხლში, ისე ამაყად გადახედა მთელ ქვეყანას თავისი მრისხანე თვალებით, რომ ევროპის ბურჟუაზია, რომელსაც არა ერთხელ გამოუცდია მუშათა მოძრაობის სიძლიერე, დაფრთხა, შეშინდა და აყაყანდა თავისი ორგანოების პირით.

რუსეთის განთავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც დღემდის უცხოეთის ბურჟუაზია გულდრეკს უკმევდა და თავის სიტყვიერ დახმარებას არ აკლებდა—დღეს მისთვის ფრიად საშიში გამოდგა და მანაც ფრონტი შეცვალა რევოლიუციონურ მოძრაობის წინააღმდეგ. ეს ასეც უნდა მომხდარიყო: „მძრომდათ შობიდი—ფრენას ვერ შეძლებს“. ბურჟუაზია კი ამ ჯამათ სწორეთ მხარეზე კლასია, მან თავის გზა განვლო, მიაღწია განვითარების უმაღლეს წერტილამდე და ახლა დაბეგ დრო, როდესაც დღეს თუ ხვალ იგი ყარამანად წამოვა თავის მწვერვალიდან. ასეთია ბუტიღებელი ბედი მეცნიერული კლასისა.

რამ შეაშინა ევროპის ბურჟუაზია?

გაზეთ „Новая Жизнь“-ში „Berl. Tag“-დან გადმოთარგმნილია საინტერესო წერილი, რომელიც გარკვეულ პასუხს იძლევა ამ კითხვაზე. გერმანულ გაზეთს ეშინია, რუსეთის რევოლიუცია არ გადაედოს ევროპას და არ შეარყიოს აქაური ბურჟუაზიის განცხრომითი სიმშვიდეც: „ვინ გაბედავს და იწინასწარმეტყველებს ახლა, რომ რუსეთში ავარდნილ ქარტეხილს შემდეგ დაუნებლივ საწუნარე გამეფდებაო-ამბობს „Berl. Tag.“-ში-ან რაღა ვქნათ, ეველაზე უფრო საზარელი მოდროდინი რომ გამართდეს? რაღაც მაშინ, რომ რევოლიუციის ტალღებმა ვიტტესთან ერთათ რომანოვების სახლობაც შთანთქას? მხოლოთ გიჟ ოპტიმისტს შეუძლია დამტკიცებით თქვას რომ ადმოსავლეთით მომავალი რევოლიუციის ახალი ტალღა ერთბაშათ შაჩერდება გერმანიის სასაზღვრთანო“ და სხვ. აი რა აშინებს ევროპის ბურჟუაზიას. აი, რამ შეცვალა აზრი მას რუსეთის განთავისუფლებელ მოძრაობაზე. შიშმორეული ბურჟუაზია ურჩევს გერმანიის მთავრობას, სერიოზული ყურადღება მიაქციოს ამ სიკეთს და საშუალებასაც აჩვენებს მომავალი უბედურების თავიდან ასაცდენათ. აი ეს საშუალებაც დასახლებულია გაზეთის სიტყვებით:

,,ამ ასართულიანი არჩევნების წესი (трехклассная система) ახლავე უნდა მოვაშოროთ თავიდან, რადგან ამის პოლიტიკური აუცილებლობა მოითხოვს. ნუთუ ბრუსიის და საქსონიის მთავრობამ უნდა იცადოს მხამდის, სანამ თვით ხალხი არ ამტკიცებს მას არჩევნების წესის შეცვლას? ნუთუ უფრო კანონიერი და სასურველი არ იქნება ასეთი მომავალი თავიდან აიცილოთ და სანამ შესაძლებელია, თვითონ გაიკვანოთ ეს რეფორმა?“

რუსეთის პროლეტარიატი გერმანიას ხალხის განთავისუფლებელის როლში! განა წარმოიდგენდა ამას, მკითხველო, ამ ერთი წლის წინათ? მაგრამ აქ განსაკვირალი არაფერია, რადგან ჩვენ ვიცით, რომ, როცა რუსეთის პროლეტარიატი თავის უფლებებისათვის იბრძვის, ის იბრძვის აგრეთვე ყველა ქვეყნების ხალხთა უფლებებისა და თავისუფლებისათვის. მაშ, გზა რუსეთის პროლეტარიატს! დღეს, ტანჯულ-გვემულმა რუსის მუშამ შავრდენიგით განწირას წინ და ადრე მოიპოვოს ის პოლიტიკური თავისუფლება, რომლის გულისთვის ბრძოლაში, მას ტყვიით და მახვილით აქვს დახვრეტილ-დასერილი თავისი შეუდრეკელი მკერდი! მაშინ სოციალიზმის გზაც ეფრო ადრე გამოაშუქებს....

მეოთხე კრება რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პატიისა.

ყველა პარტიულ ორგანიზაციათა და ყველა მუშა სოციალ-დემოკრატთა მიმართ.

პირველმა ბრწყინვალე გამარჯვებამ, რომელიც მებრძოლმა პროლეტარიატმა მოიპოვა ოქტომბრის დღეებში, ახალი პოლიტიკური ვითარება შექმნა, ახალი პოლიტიკური მიზნები დაუყენა წინ პარტიას. ძველი თვითმპყრობელობა დაეცა, ძალმომრეობის წყალობით განხორციელდა რამოდენიმეთ მოქალაქობრივი თავისუფლება. შეცვლილ პირობებს პარტიამ უნდა შეუფეროს თავისი ტაქტიკა და ორგანიზაცია.

ის აუარება შრომა, რომელიც უნდა აიტანოს პარტიამ ამ საძნელო საქმეებში, დაკარგავს თავის რევლური მნიშვნელობის მეტ ნაწილს იმ შემთხვევაში, თუ რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატია კვლავაც გათიშული დარჩა. პარტიული განხეთქილება რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება მუდამ უცვლელ ლიზენგს: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“, ახლა არა თუ აუტანელი შეიქნა თვით პარტიისათვის და დამღუპველი მისი მუშაობისთვის, არამედ ყოველივე აზრიც დაეკარგა ამ განხეთქილებას, ვინაიდგან ისპობა მისი ასრსებობის ძირითადი მიზეზი,—სახელდობ, კონსპირატიულ პირობათა წყვდიადით მოცულობა, პარტიის სრული არა-ლეგალურობა, ე. ი. არსებულ კანონის გარეშე ყოფნა.

ჩვენ ვიწვევთ პარტიის მეოთხე მთრიგ სიეზდს (კრებას), რომელმაც უნდა გადაწყვიტოს მომწიფებული პოლიტიკური კითხვები, უპირველეს ყოვლისა კი—სკითხი პარტიულ გაერთიანების შესახებ.

ჩვენ გაერთიანების შემდეგ გეგმას ვაცხადებთ რუსეთის მთელი სოციალ-დემოკრატიის საყურადღებოთ. ერთსა და იმავე დროს და ერთსა და იმავე ადგილას უნდა შეიკრიბნენ პარტიის ოროვე ხაწილთა კრებები (სიეზდები), რომელთაც უნდა შეთანხმდენ ერთმანერთ შორის მუშაობის წესის შესახებ და შეერთდენ ერთ საზოგადო კრებათ იმ პირობით, რომ თითეულ მხარეს გადამჭრელი ხმის თანასწორი რიცხვი დაურჩეს. თითეულმა მხარემ უნდა წინდაწინვე მტკიცეთ და შეურყეველათ მიიღოს ვალდებულება, რომ ყველაფერში საერთო კრების ხმის უმეტესობის გადაწყვეტილებას დაემორჩილება. ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ ძსეთ ნაირათ მოწყობილი გამაერთებელი კრება შეძლებს პარტიული მთლიანობის განხორციელებასაც და ტაქტიკის და ორგანიზაციის საუკეთესო ფორმების შემუშავებასაც. გამაერთიანებელი კრების თავისი ნაწილის დამოუკიდებლათ მუშვების

დროს თითეული მხარე საუკეთესოთ უზრუნველ-ყოფს წარმომადგენლობის წესების სისწორეს და თავიდან აიცილებს იმ მავნე ქიშპობას მეორე მხარესთან არჩევნების დროს, რომელიც აძლიერებს ძველ უნდობლობას. გადამჭრელი ხმის რიცხვის თანასწორობა იმის თავდები იქმნება, რომ ვერც ერთი მხარე ვერ გაიმარჯვებს მექანიკურათ, ხმის უმეტესობით, და პარტიის გადაწყვეტილება არ იქნება დამოკიდებული ამა თუ იმ ფრაქციის სურვილ-განზრახვაზე.

ეს გეგმა ჯერ არ არის მიღებული პარტიის მეორე ნაწილის მიერ. ორგანიზაციონური კომისია, სხვა გვარ გეგმას ემხრობა: თანხმათ ამ გეგმისა, პარტიის ორივე ნაწილი სიეზდება თუ კონფერენციები მხოლოთ უნდა შეთანხმდენ ერთმანერთ შორის ახალ „დამფუძნებელ“ სიეზდისთვის არჩევნების წესთა შესახებ და შექმნან საზოგადო საარჩევნო აპარატი, რომელმაც შემდეგ უნდა მოიწვიოს «დაფუძნებელი» სიეზდი.

გარდა ამისა, ორგანიზაციული კომისია ისე მოკლე დროში აპირებს თავის „მეორე კონფერენციის“ მოწვევას, რომ ჩვენთვის ტეხნიკურათ შეუძლებელია მეოთხე სიეზდის ამ ვადისათვის შეკრება, მით უმეტეს, რომ ჩვენ შეურყევლათ გადავწყვიტეთ ჩვენი სიეზდისათვის უზრუნველ ვყოთ სრული არჩევითი წარმომადგენლობა ორგანიზაციაში მყოფ ყველა იმ მუშებისა, რომელნიც ჩვენ პარტიაში შედიან.

ამ მიზნის მისახწევათ, რომ არ დაირღვას კავშირი პარტიის წინანდელ იდეურ და ორგანიზაციულ მუშაობასთან, ჩვენ გადავწყვიტეთ შემდეგ:

ჩვენ ვიწვევთ მეოთხე მორიგ კრებას რ. ს.-დ. მ. პარტიისას მესამე სიეზდის წესდების თანახმათ. იმ უფლების ძალით, რომელსაც წესდება გვაძლევს, ჩვენ ვიწვევთ სათათბირო ხმის უფლებით მთელი პერიფერიის წარმომადგენელთ, ე. ი. ყველა იმ ორგანიზაციათა წარმომადგენელთ, რომელნიც პარტიაში შედის, თითეულ 300 ამხანაგთაგან (და ნაკლები რიცხვიდანაც, თუ რომ რომელიმე ცენტრში ყველა შეკავშირებულ მუშათა რიცხვი 300-მდი არ ახწევს) ერთ არჩეულს. ყველა იმ მუშა სოციალ-დემოკრატებს, რომელნიც ფორმალურათ არ ჩარიცხულან პარტიაში, ვეცხადებით დაუყოვნებლივ შევიდენ პარტიულ ორგანიზაციაში, რათა დელეგატების არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ. შეიკრიბება თუ არა სიეზდი, ჩვენ წინადადებას მივცემთ კომიტეტების წარმომადგენელთ, რომელთაც გადამჭრელი ხმის უფლება აქვთ წესდების ძალით, რომ ყველანი, ვინც სათათბირო ხმით არიან მოწვეული—გადამჭრელი ხმის უფლებით მიიღონ.

სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ რ. ს.-დ. მ. პარტიის მეოთხე სიეზდი მიიღებს ამ წინადედებას. ამის დაგვარათ მეოთხე სიეზდზე დელეგატების უმეტესობას მუშა-სოციალ-დემოკრატთა მასის წარმომადგენელნი შეადგენენ და ამავე დროს არ დაირღვევა კავშირი მიელი სოციალ-დემოკრატიის წარსულ შრომასთან და პარტიის წინანდელ სიეზდების დადგენილებებთან.

სიეზდის გახსნას ჩვენ 10 დეკემბრისათვის ვნიშნავთ და მოუწოდებთ ყველა პარტიულ ორგანიზაციებს, რაც შეიძლება ენერგიულათ მოიხმარონ ამ ვადამდის დარჩენილი დრო შინაურ ორგანიზაციონულ რეფორმების გასახორციელებლათ, რაც აუცილებლათ საჭიროა სიეზდის ახალ წესებზე მოწყობისათვის. ეცადონ ამ დროს განმავლობაში თვით ორგანიზაციებშიაც და „მეუმცირესეებთან“ საერთო კონფერენციებზე გამოარკვიონ ის ტაქტიკური და ორგანიზაციონული კითხვები, რომელნიც სიეზდის მიზანს შეეხებიან.

იმედი გვაქვს, რომ პარტიის მეორე ნახევარი არ იტყვის უარს ახალი კონფერენციის ან სიეზდის მოწვევაზე ამ დროისთვის, როცა ჩვენი სიეზდი გაიმართება. ჩვენ ამის შედეგად გვაქვს, ვინაიდგან მხოლოთ ორივე სიეზდის ერთდროულათ და ერთ და იმავე ადგილას მოწვევას შეუძლია საქმის უნაყოფო გაჭიანურების თავიდან აცილება და გაერთიანების შესახებ მწვავე კითხვის ერთბაშათ გადაწყვეტა.

ცენტრ. კ—ტი რუს. ს.-დ. მ. პ.

პარტიის რეორგანიზაციის შესახებ *).

ჩვენი პარტიის მოღვაწეობის პირობები ძირითად ცვლილებას განიცდის. ძალით მოპოებულია კრების, კავშირის, ბეჭდვის თავისუფლება. ყველა ეს უფლებები, რა თქმა უნდა, ყოველგვარ სიმტკიცეს მოკლებულია და ვინც მათ ენდობა ბოროტმომქმედი თუ არა, გიჟი მაინც უნდა იყოს. საბოლოო გადამჭრელი ბრძოლა ჯერ კიდევ წინ გვიდგა, და ამ ბრძოლისთვის მომზადებას უპირველესი ალაგი უნდა დაეთმოს. პარტიის კონსპირატიული აპპარატი ხელ უხლებლათ უნდა დარჩეს. მარა ამასთანავე უსათუოთ საჭიროა, რაც შაილება ფართოთ გამოვიყენოთ ახლანდელი, შედარებით განიერი ასპარეზი. უსათუოთ საჭიროა კონსპირაციულ აპპარატთან ერთათ შევქმნათ ახალი, აშკარა და ნახევრათ აშკარა პარტიული ორგანიზაციები. უამისოთ ყოვლად შეუძლებელია ჩვენი მოღვაწეობის ახალ პირობებთან შეთანხმება, უამისოთ ჩვენ ვერას გზით ვერ მოვახერხებთ ახალი მიზნების გახორციელებას...

ორგანიზაციის ახალ საძირკველზე დასაფუძნებლათ საჭიროა პარტიის ახალი სიეზდი. წესდების ძალით ის წელიწადში ერთხელ უნდა მოხდეს და შემდეგი სიეზდი 1906 წლის მაისისთვისაა დანიშნული, მარა ამ ჟამად აუცილებელია სიეზდის დაჩქარება. თუ რომ ჩვენ დროზე ვერ გამოვიყენეთ ახლანდელი მომენტი, იგი ადვილად გავისხლტება ხელიდან—ე. ი. ორგანიზაციის შექმნის მოთხოვნილება, რომელსაც ასე მწვავათ გრძნობენ დღეს მუშები, მახინჯ საშიშ ყალიბში ჩამოესხმება, გააძლიერებს ვილაც „ნეზავისიმცებს“ და სხვ. რაც შეიძლება ადრე უნდა შევქმნათ ახალი ორგანიზაციები, უნდა დავაყენოთ საზოგადო განსახილველათ ახალი ხერხი, ახალი წესები, საბოლოოთ შავიმუშაოთ „ახალი კურსი“ (მიმართულება-გზა). ჩვენი პარტიის ც. კ-ტის მიერ ხელმოწერილი მიმართვა პარტიისადმი, რომელიც ამავე ნომერში იბეჭდება **), ჩემის აზრით, სრულიად მართლათ არჩევს ამ ახალ კურსს. ჩვენ, რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელთ, «უმრავლესობის» მომრეებს, არა ერთხელ გვითქვამს, რომ პარტიის სრული დემოკრატიზაცია შეუძლებელი იყო აქამდის კონსპიტიული პირობების მიზეზით და „არჩევითი წესები“ მხოლოთ ფრაზას წარმოადგენდა. ცხოვრებამ დაადასტურა ჩვენი სიტყვები. უმცირესობის ყოფილ მომხრეებს არა ერთხელ აღუნიშნავთ ლიტერატურაში (იხილე მუშის (Рабочій) ბროშურა აქსელროდის წინასიტყვაობით, წერილი „ერთი მრავალთაგანი მუშისა“, ისკრაში მოთავსებული, ბროშურა „მუშების აზრი პარტიულ განხეთქილების შესახებ“ („Рабочіе о партійномъ расколѣ“), რომ ფაქტიურათ ჩვენ ვითარი სერიოზული დემოკრატიზაციის, არავითარი ნამდვილი არჩევითი წესის ცხოვრებაში გატარება არ მოხერხდა. მაგრამ ჩვენ, მეუმრავლესეები, პოლიტიკურ თავისუფლების მოპო-

*) ეს წერილი გადმოთარგმნილია გაზ. „Новая жизнь“-იდან.

**) ამ მიმართვას ჩვენც ვბეჭდავთ დღევანდელ ნომერში. „მოგზ.“-რედ.

ბასთან ერთათ არჩევითი წესის შემოღებას ყოველთვის აუცილებლათ ვთვლიდით. რ. ს.-დ. მ. პარტიის მესამე სიეზდის ოქმები განსაკუთრე'ულ სიცხადით ამტკიცებენ ამას, თუ რომ ამასაც კიდევ დამტკიცსბა სჭირია.

ასე რომ, საკითხი სრულიად ნათლათ დგას: შევინარჩუნოთ ჯერ-ჯერობით კონსპირატიული აპპარატი და გავავითაროთ ახალი, აშკარა. სიეზდს თუ შევუფარდებთ, ეს საკითხი (რომლის კონკრეტულათ გადაწყვეტას პრაქტიკული უნარი და ადგილის და დროის ყველა პირობათა ცოდნა სჭირია) სიტყვიერათ ასე გამოიხატება: მოვიწვიოთ მეოთხე სიეზდი წესდების თანახმათ და ამწამშივე, დაუყონებლივ შემოვიღოთ „არჩევითი წესები". ც. კ—მა გადასწყვიტა ეს საკითხი: „კომიტეტჩიკები", როგორც სრულ-უფლებიან ორგანიზაციების წარმომადგენელნი ფორმალურათ, და როგორც პარტიული მემკვიდრეობის წარმომადგენელნი რეალურათ, სიეზდზე გადამწყვეტი ხმით მიდიან თავიანთ უფლებისამებრ. პარტიის ყველა წევრების, და, მაშასადამე, პარტიაში მყოფ მუშათა მასის მიერ არჩეული დეპუტატები ც. კ—მა თავ'ი უფლების ძალით სათათბირო ხმით მიიწვია. ც. კ. აცხადებს ამასთანავე, რომ წინადადებას მისცემს სიეზდს, რათა უკანასკნელმა ეს სათათბირო ხმა—გადამწყვეტათ გადააქციოს. დათანხდებიან თუ არა ამაზე კომიტეტების სრულ—უფლებიანი დელეგატები?

ც. კ. აცხადებს, რომ, მისი აზრით, უსათუოთ დათანხდებიან. პირადათ მე ღრმათ დარწმუნებული ვარ ამაში. შეძლებელია, რომ არ დათანხდენ. განა შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ სოციალდემოკრატიული პროლეტარიატის ხელმძღვანელთა უმეტესობა არ დათანხმდეს ამაზე? ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ პარტიულ მუშაკთა ხმა, რომელსაც სიფაქიზით უყრის თავს გაზეთი „Новая Жинь", ძალიან ჩქარა დაამტკიცებს ჩვენი შეხედულობის სისწორეს: თუ რომ, მაინცა და მაინც, არ აგვცდა ასეთი ნაბიჯისათვის (სათათბირო ხმის—გადამწყვეტათ გადაქცევისათვის) ბრძოლა, ამ ბრძოლის შედეგი მაინც აშკარა არის. გაუსინჯეთ ამ საკითხს მეორე მხარეც, ფორმალური კი არა—არსებითი. მოელის თუ არა სოციალ- დემოკრატიას რაიმე საფრთხე, თუ რომ ჩვენ მიერ გამოცხადებული გეგმა განხორციელდა?.

შესაძლებელია საშიშათ ჩათვალონ ის გარემოება, რომ პარტიაში ერთბაშათ არა სოციალ-დემოკრატთა მასა შეიჭრებაო. მაშინ პარტია გაითქვიფება მასსაში, პარტია ვეღარ იქნება მთელი კლასის მოწინავე შეგნებული რაზმი, პარტია მაჩანჩალათ (хвостъ) გადაიქცევაო. სწორეთ რომ ძლიერ საშიშროთ იქნებოდა ასეთი პერიოდი (ხანა). და ამ საფრთხეს მართლა რომ დიდი მნიშვნელობა ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ რომ ჩვენ დემაგოგიისადმი ლტოლვილება გვჭირდეს, თუ რომ ჩვენ არ მოგვეპოვებოდეს პარტიის გამამტკიცებელი საფუძველი (პროგრამა, ტაქტიკური წესები, ორგანიზაციული გამოცდილება), ან რომ ეს საიფუძველი არ იყოს მტკიცე და შეურყეველი. მარა, საქმეც იმაშია, რომ ეს „თუ რომ" არსად არის. ჩვენში, მეუმრავლესებში, არა თუ არ მოინახება ასეთი ლტოლვილება დემაგოგიისადმი, პირიქით, ჩვენ ყოველთვის პირდაპირ და აშკარათ ვებრძოდით დემაგოგიის თვით მცირე ნასახსაც კი, ყველა იმათგან, ვინც პარტიაში შემოსვლას აპირებდა, შეგნებას მოვითხოვდით. მტკიცეთ გვწამდა პარტიულ განვითარების საქმეში „მემკვიდრეობა" (преемственность), ვქადაგობდით დისციპლინას და ყოველივე წევრისთვის რომელიმე პარტიულ ორგანიზაციაში აღზრდის საჭიროებას. ჩვენ გვაქვს ჩვენი შეურყეველი პროგრამა, რომელიც ოფიციალურათ მიღებულია ყველა სოც.-დ—ტთა მიერ, და რომლის ძირითად დებულებებს არავითარი არსებითი კრიტიკა არ გამოუწვევია (ცალკე მუხლების და აზრების კრიტიკა აუცილებლათ საჭიროა ყოველი ცოცხალი პარტიისთვის). ჩვენ გვაქვს ტაქტიკური რეზოლიუციები, თან-დათან დაზუსტებული და სისტემატიზირათ შემუშავებული მე-2 და მე-3 სიეზდებზე და სოციალდემოკრატიულ ლიტერატურის ხანგძლივი მუშაობის წყალობით. ჩვენ გვაქვს აგრეთვე რამოდენიმეთ ორგანიზაციონული გამოცდილებაც და ფაქტიური ორგანიზაცია, რომელსაც აღმზრდელი მნიშვნელობა ქონდა. ამ ორგბნაზაციის ნაყოფი, თუმცა ერთბაშათ არა სჩანს, მარა მისი უარყოფა ან ბრმას შეუძლია, ან დაბრმავებულს.

არა, ამხანაგებო, ნუ გავაზვიადებთ ამ საფრთხეს. სოციალ-დემოკრატიამ მოიხვეჭა სახელი, მან შექმნა თავისი მიმართულება, შექმნა მთელი რაზმები მუშა-სოციალდემოკრატებისა. და აი ამ დროს, როდესაც გმირმა პროლეტარიატმა საქმით დაამტკიცა, რომ იგი მზათაა საბრძოლველათ, დაგვანახვა უნარი სოლიდარული მედგარი ბრძოლისა ნათლათ დასახული მიზნის გასახორციელებლათ, დაგვიმტკიცა, რომ იგი იბრძვის, როგორც ნამდვილი, წმინდა სოციალ-დემოკრატი, —აი ასეთ დროს პირდაპირ სასაცილო იქნება ვინმემ ეჭვი შეიტანოს იმაში, რომ თითოეულ ას მუშაში, რომელნიც ც. კ—ს მოწოდებით ხვალ პარტიაში უნდა ჩაირიცხონ, 99 ნამდვილი სოციალ-დემოკრატი იქნება. მუშათა კლასი ინსტინქტიურათ, სტიქიურათ სოციალ-დემოკრატიულია, ხოლო სოც.-დემოკრატიის 10 წელზე უფრო ხანგრძლივმა მუშაობამ კარგა ნაყოფი გამოიღო სტიქიურ სოციალ-დემოკრატთა შეგნებულათ გადაქმნის საქმეში. ნუ გაშინებთ ამხანაგებო, ხელოვნურათ შექმნილი საფრთხე! ნუ დაგავიწყდებათ, რომ ისეთ პარტიაში, რომელიც ცოცხლობს და ვითარდება, ყოველთვის მოინახება ფეხ-აუდგმელი, რყევაში მყოფი, სიმტკიცეს მოკლებული ელემენტები. მაგრამ ასეთ ელემენტებს ადვილათ გაწვრთნის და გაამაგრებს სოციალ-დემოკრატიის ნაწრთობი და შედუღებული რაზმები.

ჩვენი პარტია დაიქანცა იატაკ-ქვეშ. ის იხრჩობოდა აქ ამ უკანასკნელ წლებში, მესამე სიეზდის ერთი დელეგატის თქმისა არ იყოს. იატაკ-ქვეშეთი ინგრევა. მაშ, მაძაცათ გასწით წინ, აღიჭურვეთ იარაღით, დაურიგეთ ის ახალ ამხანაგებს, გაიფართოეთ სამოქმედო ასპარეზი, მოუწოდეთ თქვენკენ ყველა მუშა-სოციალ-დემოკრატს, ასობით და ათასობით ჩარიცხეთ იგინი პარტიულ ორგანიზაციათა რაზმებში. დეე, მათ დელეგატებმა მეტი სიცოცხლე შეიტანონ ჩვენ ცენტრებში, დეე, მათთან ერთათ პარტიაში ახალგაზრდა რევოლიუციონური რუსეთის სპეტაკი ნაკადული შემოიჭრას. დღემდის რევოლიუცია ყოველთვის ამართლებდა და ამართლებს მარქსიზმის ყველა ძირითად თეორიულ დებულებას, სოციალ-დემოკრატიის ყველა არსებით ლოზუნგებს. და რევოლიუციამ გაამართლა აგრეთვე ჩვენი, ს.-დ., მუშაობა, გაამართლა ჩვენი იმედი და რწმენა, რომ პროლეტარიატი ნამდვილი რევოლიუციონერია. მაშ უკუ-ვაგდოთ ყოველივე წვრილმანობა პარტიის აუცილებელ რეორგანიზაციის საქმეში: ამ წუთშივე ავირჩიოთ ახალი გზა. ეს არ წაგვართმევს ჩვენ კონსპირატიულ აპარატს (რომლის აუცილებლობა მუშა-სოც.-დემოკრატებს კარგათ ესმით: ცხოვრებამ და რევოლიუციის მსვლელობამ ასჯერ უფრო ნათლათ დაამტკიცა ეს, ვინემ სხვა და სხვა დადგენილებამ და გადაწყვეტილებამ). ეს შეგვმატებს ჩვენ ახალს, ახალ გაზდა ძალას იმ ერთათ ერთ ნამდვილ რევოლიუციონურ და ბოლომდე რევოლიუციონურ კლასის გულიდან ამონახეთქს, რომელმაც რუსეთს ნახევარი თავისუფლება მოიპოვა, რომელიც სრულ თავისუფლებას მოუპოვებს მას, რომელიც თავისულების გზით სოციალიზმისაკენ წაიყვანს მას.

ნ. ლენინი.

ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა გაფიცვის გამო.

რევოლიუციის ქარტეხილმა ისეთი ყოვლად-უმანკო სფერები ამოძრავა დღეს რუსეთში, რომელნიც მუდამ განთქმული იყვენ თავისი კდემა-მოსილებით ყოველივე კანონიერების წინაშე. ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეების დასახასიათებლათ დღემდის მხოლოთ ერთი რუსული თქმულება იყო საკმაო: „тише воды, ниже травы". მაგრამ საზოგადო ცხოვრება შეიცვალა, ადულდა რევოლიუციის ცეცხლზე და ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებმაც დააკუიტეს მორცხვათ დაშვებული თვალები. მათ გაჰირვებულ მდგომარეობაზე, აუტანელ ჯაფაზე და მუდამ ჰაჰან-წყვეტაზე ბევრი რამ დაწერილა ამ ბოლო ხანში, ბევრი ვინმე გამოსარჩლებია ამ ჩაგრულთ, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, რომ წაქცეულ კაცს სხვისი შეძახება ვერაფერს უშველის, თუ თითონ არ ეცადა წამოდგომას. ეს უბრალო ჭეშმარიტება მხოლოთ დღეს შეიგნეს დაბეჩავებული დაწესებულების დაბეჩავებულმა მოხელეებმა და თითონვე შეუდგენ თავიანთ თავის დახმარებას. მათ განიძრახეს კავშირის დაარსება და დაარსეს კიდეც, მაგრამ ვიტტეს მთავრობამ ბ. დურნოვოს და სევატიანოვის განკარგულებით არა თუ კავშირის დაარსების ნება აუკრძალა მათ, არამედ სამსახურიდანაც დაითხოვა კავშირის სამი დელეგატი. ყველა ეს მოხდა „ლიბერალ" ვიტტეს ახალი კაბინეტის სანქციით. მინისტრთა საბჭომ აუხსნა ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებს, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტი, რომელიც რუსეთის **ყველა მცხოვრებთ** ანიჭებს კავშირის თავისუფლებას, ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებს, ამნაირ უფლებას არამც და არამც არ აძლევსო. ასეთი განმარტების სამართლიანობა ბ. ბ. მინისტრებმა თავისუფალ საფრანგეთის მაგალითითაც დაასაბუთეს, სადაც თურმე მთავრობას დაწესებულებათა მოხელეებს კავშირის დაარსება აკრძალული აქვთ კანონის ძალით. მაგრამ საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრება თუ მაგალითი იყოს ჩვენი მინისტრებისათვის, სხვა რამეშიაც მიბაძავდენ მას და ამნაირმა განმარტებამ, რა თქმა უნდა,„ ვერ დააკმაყოფილა ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები; პირიქით, ამან უფრო აამხედრა ისინი მთავრობის წინააღმდეგ. 17 ოქტომბრის მანიფესტით მოპოებულ უფლების წართმევას და ამხანაგების სამსახურიდან დათხოვნას მთელი რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებმა საერთო გაფიცვით გასცეს პასუხი. დღეს რუსეთში ალარ არსებობს ფაქტიურათ ეს ყოველივე კულტურული ქვეყნისთვის აუცილებელი დაწესებულება. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, დიდ გავლენას იქონიებს რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და თვით ილაჯ-გაწყვეტილ მთავრობასაც მძიმე უღლათ დააწვება კისერზე. პასუხის მგებელი იგივე მთავრობაა და განსაკუთრებით კი ბ. დურნოვო და სევასტიანოვი, რომელთა უდიერ საქციელიდან ლოღიკურათ გამომდინარეობდა ასეთი ნაბიჯი ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა და მთავრობა კარგათ უნდა გრძნობდეს, რომ გაფიცულთა უფლებების აღდგენას, ბ. დურნოვო-სევასტიანოვის სამსახურიდან გადაყენებას და დათხოვნილ მოხელეთა სამსახურში მიღებას დღეს ფოსტა ტელეგრაფთან ერთათ მთელი რუსეთის ხალხი მოითხოვს...

ჯარის—კაცთა ცხოვრებიდან.

მეფის მთავრობის განსაცდელმა უკიდურეს წერტილამდე მიახწია. „ვიტტეს რეფორმებმა" ხალხი ვერ დააშოშმინა. პირიქით, ნიადაგი რევოლიუციონური კლასი-პროლეტარიატი და რევოლიუციონური გლეხობა სასტიკი მუქარით აიმართა თვითმპყობელობის ნანგრევების წინაშე და გადაჭრით ეუბნება: ილოცე შენი სულისათვისო. ვის უნდა შეშვენოდა საშინელ საგონებელში ჩავარდნილმა მთავრობამ—უპირველეს ყოვლისა რასაკვირველია „ტახტის ერთგულ ჯარს"... ჯარია ერთათ ერთი ძლიერი მფარველი მეფის მთავრობისა, ჯარია გზე და იმედი თვითმპყრობელობისა, დათუ ჯარმაც ზურგი შეაქცია მას და მხარი აღარ დაუჭირა მაშინ მაშინ, „მშვიდობით სპანო ჯოლოსანნო!" მთავრობის „ჩარხი ბედ-უკუღმა გადატრიალდება." მთავრობის ძლიერება ჯარის ერთგულებით იზომება და ჯარის აჯანყება მთავრობის აღსასრულის მომასწავებელია; იმის თქმა, რომ დღეს ჯარი რევოლიუციის მომხრეაო, ყოვლად შეწყნარებული ოპტიმისტობა იქნებოდა. მეორე მხრით, შეუწყნარებელივე პესსიმისტობა იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ჯარი, როგორც მთლიანი ორგანიზაცია, დღეს მთავრობის ყურ-მოჭრილი მონაა. ჯარის აჯანყებები, რომელნიც ამ ბოლო დროს ძალიან გახშირდა და ბევრ ადგილას ფრიად საშიშარი სახე მიიღო, აშკარათ მოწმობენ, თუ როგორ არის საქმე „ქრისტეს-მოყვარე მხედრობაში." უკმაყოფილება თან და თან იზრდება ჯარში, მღელვარება ფართოვდება და შორს არ არის ის დრო, როდესაც ჯარის საგრძნობელი ნაწილი რევოლიუციისაკენ აშკარათ გაიწევს და თავის სამსახურს შესთავაზებს.

რევოლიუციის ნაპერწკალს სასურველი ნიადაგი დაუხვდა ჯარის-კაცთა ცხოვრებაში. რუსეთის სახელმწიფოში ხომ ყველა ქვეშევრდომი მონას წარმოადგენდა, მაგრამ ისეთი დასჯილი, დაჯაბნებული, ყოველივე უფლება-ართმეული და გამანქანებული ადამიანი, როგორც რუსი ჯარის-კაცია—ძნელათ თუ სადმე მოიპოვება. ასეთ ზნეობრივ დამცირებას დაუმატეთ კიდევ ფიზიკური და მატერიალური წვალება ჯარის კაცისა და ადვილათ მიხვდებით, რომ თუ ვინმეს ეთქმის რამე თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, სალდათი პირველი უნდა იყოს ასეთ პროტესტანტთა შორის.

მართლაც ვის აქვს იმდენი სათქმელი თავის გაჭირვებაზე, ვის დაუხვევია გულში იმდენი ჭრა-ვარამი, ბრაზი და სიძულვილი, რამდენიც რუსის სალდათს. მოიგონეთ ნაძალადევის პირველი მიტინგები და ჯარის კაცების სიტყვები ამ მიტინგებზე და თქვენ ნათლათ გაიგებულებათ თვალ წინ „ძლევა—მოსილი მხედრობის" ყოფა-ცხოვრების სურათი. აი რა ილაპარაკა ნაძალადევში 20 ოქტომბერს მიტინგზე სათადარიგო ჯარის კაცმა რუსმა: მე მივმართავ ამხანაგ-სათადარიგო ჯარის კაცს და მოვუთხრობ იმათ, როგორ მომეპყრო მე თვითმპყრობელობა.-მე ღარიბ გლეხის ოჯახში დავიბადე. მშობლები მზრდიგაჭირვებით, ხშირათ ლუკმა პურიც მენატრებოდა. მიუხედავათ დაუღალავი შრომისა ჩემ მშობლებს არა მოეძოებათ რა და თანაც ათასი გადასახადი კისერზე აწვა და ახრჩობდა. სწავლა მწყუროდა, მაგრამ თვითმპყრობელმა მთავრობამ, რომლისთვისაც ჩვენი სიბნელე და გაუნათლებლობა ძლიერ ხელ საყრელია, ჩემთვის და სხვა-მილიონი ღარიბებისთვის სწავლა შეუძლებელი გახადა. მეცადინეობით და საკუთარი შრომით ვისწავლე მე წერა-კითხვა. უკიდურესმა სიღარიბემ მე სოფლიდან ქალაქში გამდენა. 15 წლის ვიყავი, ჯერ თითქმის ბავშვი, მძრა სიმშილი კუჭს მიწვავდა და იძულებული გავხდი ჩემთვის აუტანელი შრომა დამეწყო. მთელი ოთხი წელიწადი გამუდმებული ვშრომობდი და როდესაც ცოტა მოვსულიერდი, მოვმწიფდი, მუშაობის ძალ-ღონეც მომიეიდა, როდესაც სიმშილს თავი დავაბწიე და არავის დახმარებაში არ ვსაჭიროებდი, მაშინ თვითმპყრობელმა მთავრობამ მომიწოდა და სალდათად წამიყვანა—„შენ აქამდის სუსტი და უსუსური იყავი,-ეხლა ძალღონით სავსე ხარ და შენი მაგარი მკლავები

და ჯანი მე გამომადგებაო—მითხრა თვითმპყრობელობამ. მომწყვიტა მუშაობას, ცხოვრებას, თავისუფლებას და კავკასიაში შემაგდო; თოფი მომცა ხელში და მითხრა: „აი ამ თოფით შენ მე უნდა დამიფარო შინაურ და გარეულ მტრებისგანო“. ჩემი საუკეთესო ყმაწვილ-კაცობა, სიჭაბუკე დახშულ ყაზარმებში გავატარე. ხუთი წელი „დისციპლინი“-ს და სამხედრო ვარჯიშობის მეტი არა მესმოდა რა. გავათავე სამსახური და ილაჯ-გაწყვეტილი ისევ სამუშაოს ძებნას შევუდექი. სალდათობის უღელს შრომის უღელი ჯობია და მეც სამოთხე წელიწადში სული მოვითქვი, მაგრამ იმავე თვითმპყრობელობამ, რომელმაც ჩემი ყმაწვილობის საუკეთესო წლები წამართვა, იმავე თვითმპყრობელობამ და გაუმაძღარმა კაპიტალისტებმა იაპონიასთან ომი გამართეს. „კიდევ მჭირიხარო“ მითხრა თვით-მპყრობელობამ და ოც და ათი წლის კაცი მომწყვიტა ოჯახს, ცოლ შვილს და მანჯურიისკენ გამგზავნა, მაგრამ ჩემ იქ მისვლამდის საშინელი ომი კიდევაც გათავდა. მე ვიფიქრე: ახლა მაინც დამაბრუნებენ მეთქი სახლში, მაგრამ თვითმპყრობელობამ „შინაური მტრების გასანადგურლათ მჭირიხარო“ მითხრა და თბილისში გამომგზავნა, მიმითითა მუშა ხალხზე და მიბრძანა: ესროლე ამათ, დახოცე, ეს „ბუნტოვშჩიკებია“, სამშობლოს მოღალატეებიაო. არა-ამხანაგებო დაამთავრა სალდათმა—მე კარგათ შევიგენ თვითმპყრობელი მთავრობის ხრიკები. სანამ მე არაფრის გაკეთება არ შემეძლო ის მე ყურადღებას არ მაქცევდა, გადასახადით ახრჩობდა ჩემ მშობლებს, სიბნელეში მზრდიდა მე, როცა მე დავმოწიფულდი იმან წამიყვანა და ხუთი წელი მიმსახურა, მერე ისევ ჩისროლა და ქუჩაში მშიერი გამაგდო, ფარაჯა რა არის, ისიც კი არ გამომატანა; კიდევ დავჭირდი თავის დასაცავათ და კიდევ წამიყვანა, მარა აწ თვითმპყრობლობა მე ვეღარ მიმსახურებს, იარაღათ ვეღარ მიხმარს. მე ვიცი რომ ხალხი, რომელსაც თვითმპყრობელობა «ბუნტოვჩიკებს» ეძახის, სიმართლისთვის იბრძვის და თავისუფლებისკენ მიდის. თვითმპყრობლობა კი ხალხის ნადვილი მტერია. მაშ ამხანაგებო: გაუმარჯოს მუშა ხალხს და ძირს თვითმპყრობელი მთავრობა.

20 ოქტომბ. ნაძალადევიდან წამოსულმა ხალხმა ავლაბრისკენ აიარა და გრუზინსკი პოლკის ყაზარმებთან გაჩერდა. როცა სალდათები ყაზარმების კარებს მოაწყდენ, საპიორის ბატალიონის ერთმა სალდათმა ისევ რუსმა წითელი დროშა დაიკავა ხელში და შემდეგი სიტყვებით მიმართა გრუზინსკი პოლკის სალდათებს:

ამხანაგებო! სალდათებო! რა გაკვირვებით მისჩერებიხართ თქვენ ამ აუარება ხალხს, ამ წითელ დროშებს! ან იქნებ გჯერათ ჩვენი გბერილი (шузатые) გენერლების სიტყვები, რომლებიც თქვენ გარწმუნებენ, რომ ეს ხალხი ჩვენი შინაური მტრებიაო. არ დაუჯეროთ ამხანაგებო, გენერლები გატყუებენ, ეს, ხალხი თქვენი მტერი არ არის, ეს ტანჯული მშრომელი ხალხია, ამ ხალხმა ვერ გაუძლო შიმშილს, უსამართლობას, დამონავებას და თავისუფლების ელტვის, თავისუფლება უნდა. ჩვენც სალდათებიც მშრომელი ხალხიდან ვართ გამოსული, მშრომელი ხალხის უბედურება, დამონავება—ჩვენი, სალდათების უბედურება და დამონავებაც არის; მათი ბედნიერება და თავისუფლება ჩვენი ბედნიერება და თავისუფლებაც არის. შეიგნეთ ეს ამხანაგებო! დამიჯერეთ მე: ჩვენი მთავრობა თვალს გვიხვევს ჩვენ და საშინელ სისხლის ღვრას იწვევს. ბევრჯერ დავანთხიეთ ჩვენ ჩვენივე მოძმის უმანკო სისხლი მარა აწ ჩვენ მთავრობა ვეღარ მოგვატყუებს. ჩვენშიც, სალდათებშიაც გაჩნდენ შეგნებული მებრძოლნი და მოინდომეს სალდათებში შეგნების შეტანა, მაგრამ მთავრობამ ის ინი დააპატიმრა და დღეს, როცა ჩვენ ყველა, მშრომელი ხალხის ბრძოლით მოპოებულ თავისუფლებას ვდღესასწაულობთ, ჩვენი საუკეთესო ამხანაგები ციხეში სხედან. ამხანაგებო! სალდათებო! მოვითხოვოთ ამ ხალხის და ჩვენც ამათსავით მოვითხოვოთ ჩვენ[illegible] რებული ამხანაგების განთავისუფლება! მივბაძოთ ამ ხალხს და ვიბრძოლოთ სრული თავისუფლებისთვის, ნულარ დავუჯერებთ ჩვენ გენერლებს და მთავრობას, შევუერთდეთ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას და მასთან ერთათ ვიბრძოლოთ დემოკრატიულ რესპუბლიკის დამყარებისთვის. ხედავთ ამ წითელ დროშას, ამხანაგებო! თქვენ მთავრობამ ეს დროშები შეგაძულათ, მარა ეს წმინდა დროშებია, მშრომელი ხალხისის ხლით შეღებილი, აი ამ წითელ დროშას ჩვენი, სალდათების სისხლიც უნდა მოემატოს. ჩვენც უნდა მივემხროთ ხალხს და თავისუფლებას თავი შევწიროთ. ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს თავისუფლებას და დემოკრატიულ რესპუბლიკას!

22 ოქტომბერს ნაძალადევში, მიტინგზე საღდათმა (ისევ რუსმა) შემდეგი ილაპარაკა:

დღეს ჩვენ ვარჯიშობა უნდა გვქონოდა, მარა ჩვენი ყაზარმის წინ პატრიოტულმა მანიფესტაციამ ჩაიარა. ჩვენ უფროსებმა ვარჯიშობიდგან გაგვანთავისუფლეს და გვითხრეს: გაჰყევით ყველამ მანიფესტანტებსო. თქვენ მიტინგზე წამოსვლა კი სასტიკათ აგვიკრძალეს. მაგრამ მე პატრიოტებს არ გავყევი და აქეთქენ გამოვვწიე. აი რა მოსაზრებით: პატრიოტებთან ბთავრობა ძალათ გვდენის, აქ მოსვლას გვიკრძალავს. აქ რაღაც საიდუმლოებაა მეთქი ვიფიქრე მოვედი აქ და მივხვდი საქმე რა'მიაც არის. აქ ხალხი თავის გაჭირვებაზე მსჯელობს, მთავრობის წინააღმდეგ აპირობს მოქმედებას. მე ვიცი, რომ მთავრობა, ხალხთან დამნაშავეა და მინდა ეს ჩემ ამხანაგებს დავუმტკიცო. ამ მიტინგზე სამწუხაროთ, ცოტაა სალდათები, მარა მე მაინც ვილაპარაკებ. აქ აფიცრებსაც ვხედავ ეს ალბათ სათადარიგო აფიცრებია, ჩვენსაკით ძალით წამოყვანილი. ვილაპარაკებ ჯერ იმაზე, თუ როგორ ზრუნავს მთავრობა ჩვენ სწავლა-განათლებაზე. მე არაფერს ვიტყვი მდიდრების შვილებზე: ყველა გიმნაზიები და უნივერსიტეტები იმათ განკარგულებაშია, რადგანაც მათ შეძლება აქვთ და სწავლის ფული გადახდა მათთვის ადვილია. ჩვენ კი, ღარიბი გლეხების და მუშების შვილები გაუნათლებლათ ვრჩებით. ფული არ მოგვეძევება და უფულოთ კი რუსეთში სწავლა არავის შეუძლია, მე გაგონილი მაქვს, რომ ევროპაში და ამერიკაში არსებობს უფასო სასწავლებლები და შიგ სწავლა ყველასთვის სავალდებულოა. ამ გვარივე სასწავლებლები უნდა მოვითხოვოთ ჩვენც რუსეთში. გაგონილი მაქვს აგრეთვე, რომ ევროპაში და ამერიკაში სალდათებისთვის შკოლებია დაარსებული და ბევრ მათგანის პროგრამმა საშუალო სასწავლებელის პროგრამმას უდრის. ჩვენ კი, რუს სალდათებს, არა თუ არაფერს გვასწავლიან, ხერიანი წიგნების კითხვისთვის გვდევნიან და გვცემენ უფროსები. „დისციპლინა“, აი რა არის ჩვენი სწავლა მეცნიერება. თუ სალდათი გენერალს „ფრონტში“ რიგიანათ არ გამოეჭიმა იმას 15 დღით „კარცერში“ ჰგზავნიან, თუ სალდათმა აფიცერს „ჩესტი“ ისე არ გაუკეთა, როგორც უნდა, თუ თითები ცოტა განზე დაურჩა გაწეული, აფიცერი უწმაწური სიტყვებით ლანძღვას დაუწყებს და თუ მოისურვებს „კარცერშიაც“ ამოაყოფინებს თავს. „სწავლის“ დროს ჩვენ სულ შინაურ მტრებზე გვიჩიჩინებენ, და რაღაც ზღაპრებით ტვინს გვიბნელებენ. ერთათ ერთი გზა განათლებისკენ—ეს თვით განვითარებ. მაგრამ ახლანდელ რუსეთში თუ დიპლომი ხელში არ გიჭირავს ისე შენ განათლებას და განვითარებას არავინ ყურადღებას არ აქცევს და ამიტომაც საუკეთესო ადგილები დიპლომიანებს, ესე იგი შე-

ძლებულებს, ეძლევათ. შეძლებულები კი მარტო თავისი კუჭისთვის ზრუნავენ და ღარიბი ხალხის არა ესმით რა, რადგან იმათი გაჭირვება არ გამოუცდიათ. ახლა გადავალ ჩვენ პირდაპირ მთავრობაზე: გენერლებზე და აფიცრებზე. თუმცა მე მანჯურიაში არ ვყოფილვარ მაგრამ იქაური ამბები და წვრილებით ვიცი. ვიცი რანაირათ დაიტანჯენ და დაიხოცენ იქ ჩვენი ძმები—სალდათები და რა უსინდისოთ იქცეოდენ აფიცრები და გენერლები. სალდათები მანჯურიაში აუტანელ მდგომარეობაში იყვნენ: არც საჭმელი, არც სასმელი, არც ბინა, არც ტანსაცმელი მათ ხელიანი არ ჰქონდათ. ან კი რა გასაკვირალია, როცა ყველა ის მილიონები, რომლებიც რუსეთმა ომს დაიხარჯა გენერლების და აფიცრების ჯიბეში ჩადიოდა. მერე საიდან იშოვა ჩვენმა მთავრობამ ეს მილიონები: ჩვენივე ხალხის ნაშრომი ფულებით იყო სავსე ხაზინა, რომელიც ახლა მთავრობის მოხელეებისაგან გაცარცულია. გარდა იმისა, რომ აფიცრები და გენერლები იტაცებდენ ხალხის ფულებს, ისინი ბრძოლის ველზედაც სამარცხვინოთ იქცეოდენ. როცა სალდათები ასი ათასობით იღუპებოდენ, ჩვენი გენერლები ბრძოლის ველიდან რამდენიმე ვერსტის მანძილზე იყვნენ დაშორებული და როცა შეატყობინებდენ იაპონელები მოდიანო, ქუდ-მოგლეჯილი გარბოდენ. სალდათების საჭიროს და ტანსაცმელს იაპონელებს უტოვებდენ. მე მოგიყვებით თქვენ როგორ იქცეოდა განთქმული „გმირი“ სტესელი. ცხადია რომ როცა პორტ-არტურს იაპონელები შემოერტყნენ, ქალაქის მცხოვრებლები გაიხიზნენ და სახლები ცარიელი დასტოვეს. გენერალ სტესელის სრულ განკარგულებაში იყო მთელი პორტ-არტურის ცარიელი სახლები. აი ამ დროს გენერალი სტესელი ბინისათვის (квартирные) ცალკე ფულებს თხოულობდა და რამდენიმე ათას მანეთს იღებდა ტყუილა-უბრალოთ. ცხადია აგრეთვე ისიც, რომ გენერალი სტესელი სულ ერთ და იმავე ადგილას იყო (ბევრიც რომ მოენდომებია ვერსათ წავიდოდა) და, როგორც ახლა გადმოგვცემენ, უმეტეს ნაწილათ სულ სახლში იჯდა. პეტერბურგიდან კი, სხვათა შორის, საგზაო ფულსაც (на разъѣздъ) იღებდა. რა აუტანელ მდგომარეობაში იყვნენ პორტ-არტურის სალდათები, რამდენი შიმშილისგან და სიცივისგან დაიხოცნენ, რამდენი ჭკუაზე შეცდა, დანარჩენები ბრძოლამ იმსხვერპლა, შინ კი იმავე სალდათებს ცოლ-შვილი და ოჯახი, მუშა ხელს მოკლებული, შიმშილით ეხოცებოდა. მოკლულ აფიცრების და გენერლების ოჯახებს პენსიას უნიშნავენ. მოკლულ სალდათებს ლატაკი ოჯახი კი უპატრონოთ, ულუკმა-პუროთ რჩება. იაპონიის ომმა რუსეთის მშრომელი ხალხი გააღატაკა, ნახევარ მილიონამდე მშრომელი ახალგაზდები წაართვა, სტესელისთანა გენერლებს კი ჯიბეები გაუსქელა. მე დანამდვილებით ვიცი, რომ სტესელი აუარება „ნადავლით“ ავსებდა რუსეთში მომავალ ვაგონებს, სალდათებისთვის კი ვაგონებში ადგილი აღარ რჩებოდა და ისინი მატარებელის ბორბლებზე ჯდებოდენ. ამხანაგებო, სალდათებო! ჩემი სიტყვებიდან თქვენ ნათლად დაინახავთ რომ მთავრობა ჩვენ სულს გვხდის, ის ჩვენი მტერია, ის ხალხი კი, რომელიც მთავრობას ებრძვის სამართლიან გზას ადგია. მაშ ვის უნდა დავეხმაროთ ჩვენ და ვის წინააღმდეგ უნდა ვიბძოლოთ? ჩვენ უნდა შევუერთდეთ ხალხს და უნდა ვებრძოლოთ მთავრობას. მაგრამ უმეტესი ნაწილი სალდათებისა ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარა საქმე რაშია, რადგანაც მთავრობა აგონებს სალდათებს, ვითომც ეს ხალხი მათი მტერი იყოს. მთავრობას ჯანგებ მოჰყავ რუსეთიდან აქ სალდათები და აქედან კიდევ იქ აგზავნის. იმიტომ რომ, რაც უნდა იყოს ჯარი თავის სოფელში თავისავე ნათესავებს და მეზობლებს არ ესვრის თოფს. ამით ვათავებ მე ჩემ სიტყვას ამხანაგებო, სალდათებო! ნუ დაგავიწყდებათ რომ მთავრობა ჩვენი მტერია, ხალხს კი თავისუფლება სურს. მაშ ძირს ჩვენი მთავრობა! გაუმარჯოს ხალხის თავისუფლებას!

13 ნოემბერს ვერაზე, მიტინგზე სალდათმა ურიამ შემდეგი ილაპარაკა. მე მინდა შეგატყობინოთ თქვენ—მიმართა იმათ ხალხს რა აუტანელ მდგომარეობაში ვართ ჩვენ სალდათები. 18 ოქტომბერს, როცა მთელი თფილისის მცხოვრებლები თავისუფლების მოპოვებას დღესასწაულობდენ მორიგ დარაჯათ ვიყავ და თოფით ხელში ერთ ადგილას გაუნძრევლათ ვიდექი. როცა მშრომელი ხალხი წითელი დროშებით მეც ამიძგერდა გული მეც მინდოდა შევერთებოდი ჩემს ძმებს და ამხანაგებს მარა არ შემეძლო—სასტიკათ დამსჯიდნენ. წითელი დროშის და ხალხის დანახვაზე მე მხოლოთ ცრემლებს ვაფრქვევდი და ამით ვაცხადებდი ჩემ სიხარულს. იქვე იდგნენ კაზაკები და სათადარიგო ჯარის კაცები. კაზაკები იძახოდენ: ერთი ნეტავი ნებას მოგვცემდენ, რომ წავიდეთ ამ ხალხს შავი დღე დავაყენოთო. მე მინდოდა დამემტკიცებია კაზაკებისთვის, რომ ხალხთან ასეთი მოპყრობა მხეცობაა და რომ ხალხი სამართლიანათ ღესასწაულობს თავისუფლების მოპოვებას, მარა იქვე მდგომმა სათადარიგო ჯარის კაცმა შემომძახა: ууу шу ухобо (жидъ)! შენ ეს გიხარია, მე კი გულს მიკლავსო. მაშინ მე ავუხსენი იმათ, რას ითხოვს ხალხი და ვუთხარი, რომ ჩვენ მთავრობა ჩვენსავე ძმებს და ამხანაგებს გვახოცინებს ზოგმა შეიგნო და დამიჯერა ზოგი კი მუქარით იწვედა ჩემსკენ და მეუბნებოდა: аи шу ухобо шена! შენ პირველი „ბუნტოვშჩიკი“ ხარ მე შენ ცხვირ პირს ჩაგამტვრევო და სხვ. კაზაკებმა ხალხს თოფის კონდახით ცემა დაუწყეს, მე მინდოდა ისინი დამემშვიდებინა ამ დროს ერთი კამანდირის ცოლი მოგვიახლოვდა და რომ შეიტყო რაში იყო საქმე საშინლათ გამიჯავრდა, კაზაკებს კი მადლობა უთხრა. იმ ღამესვე პოლკოვნიკის ცოლმა უფროსთან დამასმინა და უფროსმა სასტიკი საყვედური გამომიცხადა მე. კაზაკებს კი მადლობა გადაუხადა. 22 ოქტომბერს, როცა გოლოვინის პროსპექტზე საშინელი სისხლის ღვრა იყო, მე იქ ვიდექ მორიგ დარაჯათ და ისევ იძულებული ვიყავი. ყველა იქ მომხდარ უბედურებისთვის გულ-გრილათ მეცქირა. მე დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ყველაფერი ხულიგანებმა ასტეხეს და ამდენი სისხლი უბრალოთ დაიღვარა. არავითარი ყუმბარა არ უსროლია არავის. 22 ოქტომბრის მერე ორი დღე არც მიძინია არც მისვამს და არც მიჭამია რა; საშინელი სურათი თვალ-წინ მედგა და მოსვენებას არ მაძლევდა. სხვა ქალაქებიდან მოსულ ტელეგრამებშიაც იმასვე ვკითხულობდი, ოდესაში უარესი ამბებიც ჩაუდენიათ ხულიგანებს. როცა სათადარიგო ჯარის კაცებმა ოდესის ამბები წაიკითხეს თქვეს: аи шаръѵе ისინი ყოფილან, ჩვენც ასე უნდა მოვქცეულიყავითო. მე ვეცადე დამერწმუნებია, რომ ისინი ცდებოდენ და ამდენი სისხლი ტყუილა უბრალოთ დაიღვარა. ზოგმა მომისმინა, ზოგმა ისევ მუქარა და ლანძღვა დამიწყო და „ухобо“ ურიას და „ბუნტოვშჩიკს“ მეძახდენ. ამ დროს დამთვრალი უნტერ-აფიცერი მომიახლოვდა და მითხრა; თუ არაყის ფულს (на водку) მომცემ არაფერს გერჩი, თუ არა—ღუროსთან დაგიბეზღებო“. აბა მე ფულს საიდან ვიშოვიდი? ამ დროს უფროსიც გამოჩნდა. უნტერ-აფიცერი ბარბაცით მიუახლოვდა და უთხრა: თქვენო კეთილშობილებავ, ეს სალდათი „ბუნტოვშჩიკია“-ო. მიუხედავათ იმისა რომ უნტერს სიმთვრალე ძლიან ეტყობოდა, უფროსი მაინც მე მომვარდა და ისეთი უწმაწური სიტყვებით დამიწყო გინება, რომ გამეორებაც მერიდება. ასე დაჩაგრული მარტო ჩვენ ვართ, სათადარიგო ჯარის კაცები უფრო თავისუფლათ იქცევიან,

რადგან მთავრობას ეშინია მაინ: ამ დღეებში კონკით მივდიოდი. ჩემთან ერთათ სამი სათადარიგო ჯარის კაცი იჯდა. ვაგონზე იფიცერი შემოხტა და დამჯდარი რომ დამინახა შემომიტაა: როგორ გაბედე დაჯდომა, წადი ახლავე და უკან გაჩერდიო. მე ვიცოდი, არაფერი გამივიდოდა და ბრძანება ავასრულე. იფიცერი ახლა სათადარიგო სალდათებს მიუბრუნდა და იმათაც უკან გაჩერება უბრძანა. სალდათებმა სიტყვა შემოუბრუნეს. იფიცერმა ყვირილი და მუქარა დაუწყო. მაშინ სალდათებმა იფიცერი ვაგონიდან გადმოაგდეს და ფეხით გაისტუმრეს, თითონ კი კონკით გასწიეს. ნახევარ წელიწადზე მეტია რაც მე ცარიელ ფიცრებზე ვწვები. ფარაჯაც სათადარიგო სალდათმა მომპარა და არაყში გამიყიდა. როცა ვთხოულობ ქვეშსაგებს და ფარაჯას „დღეს-ხვალ“-იობით მისტუმრებენ, საჭმელ-სასმელს ნულარ იტყვით, ისეთი გვაქვს, რომ ძაღლიც არ სჭამს. ამას წინეთ რომ ამაზე კრინტი დავძარი, კინაღამ მომკლეს. ჩვენი მდგომარეობა სწორეთ აუტანელია—დაათავა სალდათმა—თქვენ თავისუფლათ ლაპარაკობთ მაინც აქ. ჩვენ კი ამასაც გვიკრძალავენ. მოითხოვეთ ამხანაგებო, - მიმართა სალდათმა ხალხს—რომ სალდათებსაც ჰქონდეს მიტინგების გამართვის ნება და მაშინ ჯარის უმეტესობა მიხვდება, რომ თქვენ მართალი ხართ და ხალხს დაეხმარება. გაუმარჯოს თავისუფლებას, ძირს თვითმპყრობელობა!

ვინც აქაურ მიტინგებს ესწრებოდა შეამჩნევდა, რომ სალდათები სულ უფრო და უფრო ბლომათ მოდიან მიტინგებზე და დიდი ყურადღებით უსმენენ ორატორებს.

საგლეხო კავშირის პირველი კრება მოსკოვში.

ყველასთვის ძნელი გამოსაცნობი იყო, თუ რა როლს ითამაშებდა ან რა პოზიციას დაიჭერდა რუსეთის გლეხ-კაცობა დღევანდელ რევოლიუციაში. რუსეთის დიდ-ძალი გლეხობა გაჭირვებაში და აუტანელ პირობებში აღზრდილი, კულტურულათ ყველაზე უფრო საზოგადოების ყველა კლასებზე დაქვეითებული და ჩამორჩენილი ნაწილი იყო. მართალია, უზომო გაჭირვება და აუტანელი ცხოვრება ხშირათ ხდებოდა რუსეთის გლეხობაში აჯანყების გამომწვევ მიზეზათ, მაგრამ, საუბედუროთ, ეს აჯანყება არასოდეს არ ყოფილა მიმართული გლეხ-კაცობის გაჭირვების ძირითად მიზეზების წინააღმდეგ, პირიქით, გლეხები, უნებლიეთ, რასაკვირველია, იბრძოდენ იმ პირობების შესანარჩუნებლათ და გასამაგრებლათ, რომლების გამო ისინი იტანჯებოდენ. რა თქმა უნდა გლეხობას ასეთი გაჭირვებული და აუტანელი მდგომარეობა უყურადღებოთ არ იყო დატოვებული იმ მოღვაწე და მომქმედ ჯგუფებისაგან, რომლებიც ხალხის ბედნიერებისათვის იბრძოდენ. მაგრამ, საუბედუროთ, თითქმის ყველა ამათთვის გლეხობა რაღაც გამოუცნობი ამოცანა იყო: ყველას ეგონა და დარწმუნებული იყო, რომ გლეხობა იმათ რჩევა-დარიგებას დაიჯერებს, ვისაც მისთვის ნამდვილი ბედნიერება წადიაო. სამწუხაროთ, ასეთი იმედი არა ერთხელ გაცრუებულა. გლეხობის მისწრაფებასა და სხვა რევოლიუციონურ მოღვაწეთა მისწრაფების შორის დიდ ხანს საერთო არაფერი არ იყო. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში გაიზარდა პროლეტარიატის მოძრაობა, რომელიც აღმოცენდა კლასობრივ განხეთქილების ნიადაგზე. ამ მოძრაობამ შეანძრია თანამედროვე წესწყობილების საფუძველი. გლეხობაში ეს მოძრაობა ვერ პოულობდა თანაგრძნობას; მას არ ესმოდა ამ მოძრაობის დიდებული მიზანი, იგი მაინც ძველ ლოზუნგში: მიწა და ნება, ხედავდა თავის ხსნას. ბოლოს გლეხობაც დაიძრა, მუშათა მოძრაობა იქაც გადავიდა, მხოლოთ სხვა სახე მიიღო. მაგრამ გლეხობის მოძრაობას მაინც არ აჩნდა [illegible], ე. ი. პროლეტარული მოძრაობის ნიშანი, [illegible] ური ხასიათი ქონდა და დღესაც აქვს*). ამ დროს გაიმა, რომ გლეხებში დგება ცალკე ორგანიზაცია, ე. ი. საგლეხო კავშირიო. ამ რამდენიმე თვის წინეთ კიდევაც მომხდარიყო გლეხების კავშირის დამფუძნებელი კრება მოსკოვის მახლობლათ. ოქტომბრის ამბებამდის, გლეხების კავშირის ორგანიზაცია ფარული იყო. ახლა კი როცა ყველა ასეთი ორგანიზაციები აშკარა მოქმედებას იწყებენ, საგლეხო კავშირმაც გამართა მოსკოვში თავისი კრება. ეს კრება მოხდა იმ დროს, როცა მოსკოვშივე ამნაირივე კრება ქონდათ საერობო და საქალაქო თვითმმართველობათა მოღვაწეებს, ე. ი, ბურჟუაზიულ-ლიბერალური და მიწათ-მფლობელობათა პარტიების წარმომადგენლებს: თავის თავათ იგულისხმება, რომ ყველა ეს ელემენტები, რომლებიც დღეს უკან იწევენ და „წესიერების პარტიებს“ აარსებენ პროლეტარიატის და საზოგადოთ მთელ მშრომელ ხალხის წინააღმდეგ, ყოველ ღონისძიებას იხმარდენ, რომ გლეხობის მოწინავე რაზმი, ე. ი. გლეხობის კავშირი, თავისკენ მიემხროთ და რევოლიუციონურ პროლეტარიატის გავლენისაგან დაეხსნათ. ცნობილი «მოღვაწეები» გუჩკოვის მეთაურობით მართლა ასე მოიქცენ. მაგრამ, რამდენათაც გლეხების დადგენილებიდან ჩანს, ბურჟუა-ლიბერალების და მიწათმფლობელ კლასების მეცადინეობას ამაოთ ჩაუვლია და გლეხების მოწინავე რაზმი უფრო რუსეთის სოც.-დემოკრ. მუშათა პარტიის ტაქტიკას და ლოზუნგებს უერთდება. მოგვყავს აქ ეს დადგენილება.

1. ხალხის გაჭირვება, რომელიც მიწის სიმცირისაგან წარმოსდგება, მოისპობა მხოლოდ მიწის ხალხის ხელში გადასვლით იმ პირობით კი, რომ ამ მიწით უნდა ისარგებლოს მხოლოდ მშრომელმა ხალხმა, ე. ი. იმან, ვინც თვითონ თავის ოჯახობით ან სხვასთან კავშირით დაიმუშავებს.

2. სამართლიან და ხალხის სასურველ მიწათ-მფლობელობის დამყარება კანონმდებლობის გზით შეუძლიან მხოლოდ დამფუძნებელ კრებას, მოწვეულს სახელმწიფოს ძირითად კანონის შესამუშავებლად. დამფუძნებელი კრება უნდა მოწვეულ იქმნას საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და ფარულ კენჭის ყრით სქესის, ხალხისნობის და სარწმუნოების განურჩევლად. თითო წარმომადგენელი ამორჩეულ უნდა იქნას 100 ათას კაცის მიერ არა უგვიანეს 1906 წლის თებერვლისა. კანონი დამფუძნებელ კრების მოწვევისა უნდა დაუყოვნებლად გამოცხადდეს.

3. დამფუძნებელმა კრებამ უეჭველად უნდა გადასწყვიტოს საადგილ-მამულო საკითხი ხალხის სასარგებლოდ და იმის სურვილის თანახმათ.

4. გლეხობა თავ-მოყრილი სრულიად რუსეთის კავშირში, შესძლებს თავის სურვილის დაკმაყოფილებას დამფუძნებელ კრების მოწვევის შესახებ.

5. რაჟა გლეხობის მოქმედება და ბრძოლა უფლებისა და მიწისათვის სწორე გზას არ ასცდეს და ვისიმე შეცდომამ გლეხთა ინტერესებს არ ავნოს, გლეხთა კავშირი კისრულობს ამ საქმის ხელმძღვანელობას. კავშირი შეურთდება ჩვენ ძმებს ქალაქის ქარხნების და ფაბრიკების მუშებს, რკინის გზის და სხვა კავშირებს და ორგანიზაციებს, რომელნიც მშრომელ ხალხის ინტერესებს იცავენ.

6. ამ ჟამად კი კავშირის საბჭომ შეიმუშავა ზომები,

---

*) უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ აქ მხოლოთ რუსეთის გლეხობა გვყავს მხედველობაში.

რომლის მეოხებით მიწა რაც შეიძლება მალე ხალხის ხელში უნდა გადავიდეს, და დაადგინა: ა) გლეხობამ არ იყიდოს მიწა მესაკუთრეთაგან. ბ) არ აილონ იჯარით მიწა; გ) არავითარ პირობით არ შეეკრას მემამულეებს. დ) თუ ვინიცობაა ხალხის მოთხოვნა არ შეასრულეს, გლეხთა კავშირი მიჰმართავს საერთო გაფიცვას: არ მისცემს მუშას მემამულეებს და ამ გვარად შეაჩერებს მათ მამულში მუშაობას; საყოველთაო გაფიცვისთვის გლეხობა კავშირს დაიჭერს მუშათა კლასთან. კავშირმა უნდა იზრუნოს სოფლის მოჯამაგირეთა საზრდოსთვის გაფიცვის დროს.

7. კავშირის საბჭომ დაადგინა, რომ თუ მთავრობა დევნას დაუწყებს გლეხთა კავშირს, რომელიც ცდილობს განახორციელოს ხალხის მოთხოვნა რაც შეიძლება ნაკლების მსხვერპლით, კავშირი შესწყვეტს გადასახადების და ჯარის მიცემას, გამოიტანს შემნახველ კასებსა და ბანკებიდან თავის თანხებს და გლეხთა კაპიტალს და დაჰხურავს არყის დუქნებს.

8. იმის ნიშნად, რომ გლეხთა კავშირის დელეგატთა კრება თავის დაწყებულ საქმეს წმიდა საქმედ სთვლის, კრებამ დაადგინა: მოსპოს არყის სმა. გლეხობა, რომელიც უფლებისა და იწისათვის იბრძვის, უნდა ყოველთვის ფხიზელი იყოს.

რუსეთის სხვა და სხვა კუთხიდან მოსულ ამბების დაგვარათ კრება აცხადებს: ჩვენ წინ და წინვე ვიცით, რომ თუ არ შესრულდა ხალხის მოთხოვნა, რუსეთში თავს იჩენს დიდი მღელვარება. ეს მღელვარება გამოიწვევს ხალხის საყოველთაო აჯანყებას, რადგან აივსო გლეხობის მოთმინების ფიალა.

10. გლეხთა კავშირის დელეგატთა კრება ერთხმათ აცხადებს, რომ 10 ნოემბრიდან დაწყებული დამფუძნებელი კრების მოწვევამდე არც ერთ მომავალ სახელმწიფო სესხს ძალა არ ექნება და ხალხი უარს ამბობს ამ სესხის გასტუმრებაზე.

პირდაპირობა და ორპირობა.

წერილი მეორე და უკანასკნელი.

ამნაირათ ჩვენ დავინახეთ, რომ ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილი თავის პირველ წერილში თავად-აზნაურობის და გლეხკაცობის ურთიერთშორის უარყოფს განხეთქილებას, ინტერესთა წინააღმდეგობას, რაც იმავე დროს ნიშნავს კლასობრივი ბრძოლის უარყოფას. გარდა ამისა იმავე წერილში იგი აღფრთოვანებით ეგებება ერთგნულ ავტონომიას, რომელსაც უქვეშევრდომილესი ადრესებით თხოულობდენ იმერ-ამერის თავად-აზნაურობა და ქართველი ბურჟუაზიის წარმომადგენლები. ასეთი იყო ბ-ნ ვლ. დარჩიაშვილის პირველი გამოსვლა ლიტერატურულ ასპარეზზე. ასეთი იყო მისი ეგრეთ წოდებული profesion de eot. ქართველ თავად-აზნაურობის დიდი ღვაწლის მიჩნევა და მემამულეებსა და გლეხებს შორის ყოველგვარი განხეთქილების უარყოფა, აი მოკლეთ როგორი იყო ჩვენი ავტორის პირველი ნაბიჯი ამ ასპარეზზე. მაგრამ ბ-ნი დარჩიაშვილი ბოლომდის ვერ შერჩა ამ პოზიციაზე. მას იმ თავითვე ეტყობოდა რყევა და ორპოზობა, რაც ამტკიცებდა მის შეხედულებათა გამოურკვეველობას და განუსაზღვრელობას ის თითქო სინჯავდა ნიადაგს, და თუ შემთხვევა იქნებოდა და საჭიროება მოითხოვდა, იგი გამოიცვლიდა თავის შეხედულებას. ამის ლოდინი დიდ ხანს აღარ დაგვჭირდა. შემდეგ წერილში (იხ: „ივერია“, № 192: კლასსობრივი ანტაგონიზმი და საერთო ინტერესები) ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილი აშკარათ აღიარებს კლასობრივ ბრძოლას და გადაჭრით ამბობს: „კლასთა ბრძოლა გარდაიქცა იმ ბორბლათ, რომლის გარშემო ტრიალებს კაცობრიობის მთელი ისტორია“ „რომ ქვეყანაზე არ მოიპოვება არც ერთი ციდა ადგილი, სადაც შეიძლებოდეს ბურჟუაზიამ და პროლეტარიატმა ერთმანეთს სულდგმა გაუგრძოს, არ მოიპოვება არც ერთი სფერა, არც ერთი საკითხი, სადაც შეიძლებოდეს კლასობრივ ანტაგონიზმის დავიწყება, კლასობრივ თვალთა ხედვის წერტილის მიტოვება: ყოველ ღონე საქმე, ყოველგვარ საკითხი მიუცილებლათ ემორჩილება კლასობრივ ინტერესთა წინააღმდეგობას, და თავის ახსნა გამარტებას მიუცილებლათ ბოლომდის კლასთა ბრძოლის ჭრილში“. ამ ნაირათ აქ ყველაფერი შეტრიალებულია. თუ პირველ წერილში ბ-ნი დარჩიაშვილი ხმა მაღლა გაიძახოდა, რომ თავად-აზნაურნი და გლეხები ძმები და ამხანაგები არიან, რომ იმათ შორის არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს, რომ, ერთი სიტყვით, იმათი ურთიერთობის ახსნა-განმარტებისათვის საჭირო არ იყო კლასთა ბრძოლის თვალთა ხედვის ისრით ხელმძღვანელობა, ახლა იგი გადაჭრით გვეუბნება, რომ არ მოიპოვება არც ერთი სფერა, არც ერთი საკითხი, სადაც შეიძლებოდეს კლასობრივი ანტაგონიზმის დავიწყება“. რომ ყოველივე საკითხი მიუცილებლათ ემორჩილება კლასობრივ ინტერესთა წინააღმდეგობას და სხვ. პირველი წერილის დაწერის შემდეგ გავიდა რაღაც თვე ნახევარი, და ნუ თუ ამ მოკლე ხნის განმავლობაში შესაძლებელი იყო, რომ ბ-ნ დარჩიაშვილს ასე შეეცვალა თავის შეხედულება? ჩვენ ეს შეუძლებლათ მიგვაჩნია, ვინაიდან ის, რაც ადამიანს წლების განმავლობაში უსწავლია და შეუთვისებია, შეუძლებელია რომ ერთი თვის განმავლობაში უკუაგდოს. შეიძლება ბ-ნ დარჩიაშვილმა ჩვენი მსჯელობა ზოგად ფრაზებათ მიიღოს, ამიტომ მოვიყვანოთ მაგალითი.

პირველ წერილში ბ-ნი დარჩიაშვილი სხვილ მემამულეებს ე. ი. „გონებრივათ ჭკვიან აზნაურებს“ ას იცავდა გლეხების თვალში: „ვთქვათ დიდ უმრავლესობას (იგულისხმება: თავად-აზნაურობისას) კი მართლა დიდი მამულ-დედული აქვს. ერთი მითხარით, რა თავში ვიხლი მამულ-დედულს, თუ ის ოხრათ, გამოუსადეგარათ ეგდება, ან არ შემეძლება ის ამოვაღებინო, რის მოცემაც მას შეუძლიანო“... ამით ბ-ნი დარჩიაშვილი გლეხებს აი რას აგონებდა: მართალია თავად-აზნაურებს დიდ-ძალი მამულები აქვთ, მაგრამ რაოხრათ უნდათ მათ ეს მამულები, როცა თავად-აზნაურებს, მემამულეებს, ამისგან არაფერი სარგებლობა არა აქვთ, ე. ი. სულ ერთია მამული გინდ გქონებია, და გინდ არა: ამ მხრით შენ, უმიწაწყლო გლეხო, დიდი მემამულე ვერაფრით ვერ გჯობია; იგიც დატანჯულია და შენც. „თქვენ ორივე ერთ ტაფაში იწვითო! მეორე წერილში კი ბ-ნი დარჩიაშვილი წერს: „მოგეხსენებათ, როგორ დრტვინვასა და ვიშ-ვიშს ეძლევიან ხოლმე ჩვენი მემამულენი და მეურნენი, როდესაც ეცემა ღვინისა, ან სულადის ფასი. ასე რომ იაფი პური და ღვინო-მუშაკთა ღვთის წყალობა, ნამდვილი ღვთის წყრომაა მემამულე-მეურნეთათვის“. ერთი სიტყვით, პირველსა და მეორე წერილს შუა სრული, აშკარა წინააღმდეგობაა. რით უნდა აიხსნას ეს წინააღმდეგობა? ჩვენი აზრით ასეთი წინააღმდეგობა შემთხვევით ვერ აიხსნება. ბ-ნი დარჩიაშვილი თვე ნახევარში ვერ შეიცვლიდა ასე თავის შეხედულებას. ჩვენი აზრით, ბ-ნ დარჩიაშვილს აქამდის ვერ შეუმუშავებია თავისი შეხედულება, ვერ გამოურკვევია ის გზა და ის მიმართულება, რომელსაც იგი ცხოვრებაში უნდა დასდგომოდა.

მეორე მხრით თუმც ბ-ნი დარჩიაშვილი აღიარებს კლასთა შორის ბრძოლას, თუმც იგი გადაჭრით ცნობს კლასობრივ ანტაგონიზმს და „ყველა საკითხი, მისი აზრით, თავის ხსნაგანმარტებას მიუცილებლათ პოულობს კლასთა ბრძოლის ქარცეცხლში“, მაგრამ ამ ბრძოლაზე მას სრულებით თავისებური წარმოდგენა აქვს; მის გონებაში ეს ბრძოლა

იხატება არა ისე, როგორც ეს სინამდვილეში, ცხოვრებაში ხდება, არამედ სულ სხვა ნაირათ. ბ-ნი დარჩიაშვილი სამართლიანათ შენიშნავს, რომ „კლასთა ბრძოლის საგანია არა პიროვნებათა მოსპობა, არამედ ცხოვრების პირობები, საზოგადოებრივი წესწყობილება, მთელი სოციალური ორგანიზაცია“ მაგრამ სრულებით გაუგებარია შემდეგი მისი სიტყვები: ამას, ე. ი. საზოგადოებრივი წესწყობილების მოსპობას, ვერ მიწვდება ვერც ცეცხლით და ვერც მახვილით. ძველი წყობილება რომ დაინგრეს და მის ნაცვლათ დამყარდეს ახალი, ამისთვის აუცილებელი პირობაა სათანადო სოციალურ კლასების გონებაში მოხდეს ფსიხოლოგიური რევოლიუციაო: აქ ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილი ერთი ერთმანეთში ურევს ორ სხვადასხვა საგანს, ორ სხვადასხვა კითხს: ერთი მხრით კლასობრივი ბრძოლის გამოხატულებას, მის ფორმას: და მეორე მხრით გარეგან საზოგადოებრივ წესწყობილების, ე. ი. საზოგადოებრივ ურთიერთობის ცვლილებას. კლასობრივი ბრძოლის საფუძველს შეადგენს კერძო საკუთრების არსებობა და საზოგადოების წევრების მოწინააღმდეგე ჯგუფებათ წოდებათ და კლასებათ დაყოფა. საზოგადოებრივი წესწყობილება დამოკიდებულია საწარმოო ძალთა მდგომარეობაზე; იგი დაყრდნობილია ნივთიერ საფუძველზე; მისი ცვლილება დამოკიდებულია ნივთიერი წარმოების პირობების ცვლილებაზე. ასეთი ცვლილება ერთბაშათ არ ხდები, ნელ-ნელა მზადდება და როცა ნივთიერი პირობები უკვე საკმარისათ მომწიფებულია, მაშინ მოხდება ის, რასაც რევოლიუციას ვუწოდებთ. ბ-ნი დარჩიაშვილი რევოლიციას და კლასობრივ ბრძოლას ურევს ერთმანეთში, და ამასთანავე თვით რევოლიუცია მას მიაჩნია, როგორც შედეგი გონებაში მომხდარ ცვლილებისა. ძველი წყობილება რომ დაინგრეს და მის ნაცვლათ დამყარდეს ახალი, ამისთვის აუცილებელი პირობაა სათანადო სოციალურ კლასების გონებაში მოხდეს ფსიხოლოგიური რევოლიუციაო“ გვეუბნება ბ-ნი დარჩიაშვილი. როგორც ხედავთ, აქ იგი ნივთიერ პირობების ადგილას გონებას აყენებს. მისი წარმოდგენით, საზოგადოებრივი წესწყობილება რომ შეიცვალოს, ამისთვის საჭიროა ჯერ გონებაში მოხდეს ფსიხოლოგიური რევოლიუცია. ასეთი შეხედულება კი წმინდა იდეალისტურ-სუბიექტურია, რომელიც კაი ხანია უარყოფილია საზოგადოებრივ მეცნიერებაში. რა თქმა უნდა, ბ-ნ დარჩიაშვილს არ შეუძლია ეს არ იცოდეს, მაგრამ ასეთი იდეალისტურ-სუბიექტური შეხედულება ისტორიაზე მისთვის საჭირო იყო იმის დასამტკიცებლათ, რომ კლასობრივი ბრძოლა თანდათან „რბილი, მშვიდობიანი და კულტურული ხდება“ „რამდენათაც განვითარებულია ეპოქა და მაღლა დგას სოციალურ ჯგუფების კლასობრივი ცნობიერება, იმდენათ ხსენებული საშვალებანი და ფორმები (სოციალურ ცვლილების) უფრო რბილია, მშვიდობიანი და კულტურული: პირიქით, რამდენათაც განვითარებულია ეპოქა (საზოგადო ცხოვრება) და რამდენათაც დაბლა დგას კლასობრივი ცნობიერება, იმდენათ კლასობრივი ბრძოლის ფორმები სასტიკია, მკაცრი, ბარბაროსული. ამ ჭეშმარიტებას ნათელ ყოფს დღევანდელი ევროპა და ამერიკა, ერთის მხრივ, და ოსმალეთი და რუსეთი, მეორეს მხრივ“. დავანებოთ თავი იმას, რომ აქ კლასობრივი ბრძოლა და საზოგადოებრივ წესწყობილებაში რევოლიუციის მოხდენა ერთმანეთში დომხალივით არეულია. ბ-ნ დარჩიაშვილს უნდა ვკითხოთ: რა აქვს აქ მას მხედველობაში: სინამდვილე, წარსული ცხოვრება, ისტორია, თუ მარტოოდენ თავის ოცნებას? რომელი „მოწინავე სოციალური ჯგუფები“ აყავს მას მხედველობაში, რომლების „კლასობრივ ცნობიერების განვითარებაზეა“ დამოკიდებული ის, თუ რამდენათ „რბილ, მშვიდობიან და კულტურულ“ სახეს დებულობს კლასობრივი მარტო პროლეტარიატი მიაჩნია მას ასეთ მოწინავე ლურ ჯგუფათ“. თუ ბურჟუაზიას? ყველა ვებია, რომლებზედაც პასუხის მიცემა ბ-ნ დარჩიაშვილს ძალუძს. კაცობრიობის მთელი წარსული ცხოვრება გვეუბნება, რომ კლასთა შორის ბრძოლა არის ერთი უსაშინელესი და უსასტიკესი ბრძოლა, და როცა ბ-ნი დარჩიაშვილი გვიმტკიცებს, რომ „პროლეტარიატის საქმე და მისწრაფებანი გახორციელებული სიყვარულიაო“, და რომ კლასთა ბრძოლის მქადაგებელი მტრობასა და სიძულვილს“ არ უნერგავს მის მოწინააღმდეგე კლასებისადმი არამედ სიყვარულს, ეს ჩვენთვის წარმოუდგენელია. მართალია, ჩვენ გვესმის, რომ პროლეტარიატის მისწრაფებაა ძმობის და ერთობის და თანასწორობის განხორციელება, და მაშასადამე ნამდვილი სიყვარულის დამკვიდრება ადამიანთა ურთიერთობაში, მაგრამ ეს მხოლოთ მომავალს ეკუთვნის, როცა საზოგადოების კლასებათ გაყოფა სრულებით მოისპობა, როცა კლასობრივ განხეთქილებას სრულებით ადგილი აღარ ექნება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მანამ კი სიყვარულის ქადაგება წყლის ნაყვა და მოცლილ და უნიადაგო მორალისტის ხელობას შეადგენს. განა ვისმესთვის დასამალავია, რომ რევოლიციონური პროლეტარიატი ბურჟუაზიულ და საზოგადოთ ყველა გაბატონებულ კლასების მიმართ სიყვარულით არ არის გამსჭვალული? და აიტომ ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილი სრულებით ამაოთ ცდილობს დააშოშმანოს პროლეტარიატის ყველა მოწინააღმდეგე კლასები იმაში, რომ პროლეტარიატი მათი შეურიგებელი მტერი არ არის. ნუ თუ ბ-ნ დარჩიაშვილს არ ესმის, რომ ასეთი შეხედულების გავრცელება გალღვებულ-გაბატონებულ კლასების დაცვა და ვექილობა არის, რასაც იგი ასე უსაყვედურებს ბატიევს, შულცე დელიჩებს და იმათ მიმდევართ. განა საერთაშორისო პროლეტარიატი და კერძოთ საფრანგეთის პროლეტარიატი დაივიწყებს 1848 და 1871 წლებს, როცა პარიზის ქუჩებზე და მიდამოებში საფრანგენთის ბურჟუაზიულმა მთავრობამ, განურჩევლათ ხნოვანებისა და სქესისა, ათასობით და ათიასობით პარიზის პროლეტარიატი გაჟლიტა და მისი სისხლით გაძღა? ან შეიძლება ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილი ფიქრობს, რომ დღეს ეს აღარ მოხდება, რომ დღეს, თუ პროლეტარიატი მოინდომებს თავისი მიზნის განხორციელებას, ბურჟუაზია მას დაზოგავს? თუ იგი ასე ფიქრობს, ეს მხოლოთ იმას ნიშნავს, რომ მას სინამდვილის არა გაეგება რა და იგი ოცნების სამყაროში დაფრინავს.

ნათქვამიდან აშკარათ სჩანს, თუ როგორი შემცდარი წარმოდგენა აქვს ბ-ნ ვლ. დარჩიაშვილს კლასობრივ ბრძოლაზე და კლასობრივ განხეთქილებაზე. აშკარაა, რომ მისი თვალთა ხედვის ისარი ამ შემთხვევაში არ არის რევოლიციონური პროლეტარიატის თვალთახედვას ისარი, რომ ბ-ნ დარჩიაშვილის შეხედულება ამ საგანზე საზოგადოთ თავიდან ბოლომდე გაჟღლეჭთილია „ფილისტერული“ და წმინდა „მეშჩანური“ 1) აზროვნებით. გადავიდეთ ახლა ეროვნულ ავტონომიაზე.

ჩვენ უკვე ვიცით, თუ როგორ ხელ აპყრობილი მიეგება ბ-ნი დარჩიაშვილი ეროვნულ ავტონომიას თავის პირველ წერილში; ხოლო მეორე წერილში იგივე ბ-ნი დარჩიაშვილი, შეუდარებელი გამბედაობით უარს აცხადებს ამავე ავტონომიაზე. ეროვნული ავტონომია მას აქ ქართველი ბურჟუაზიის,

---

1) ვხმაროთ ამ უცხო ტერმინებს რადგანაც ქართულ ენაზე შესაფერი ტერმინი არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

,,ავადმყოფობის, ქართველობის დაქვეითების და ტერიტორიალურ ავტონომიას თავისი საკონსტიტუციო მართველობით და საყვედურს უცხადებს ყველა იმათ, ვინც კავკასიის ყველა ერების პროლეტარიატის მტკიცე კავშირით შეერთებას წინ ეღობება. ,,დღეს—გვეუბნება ბ-ნი დარჩიაშვილი, კავკასიის ყველა ერების შეგნებული პროლეტარიატი უკვე ძმურათ შეერთებულია; ისინი, ერთათ მუშაობენ, ერთათ მოქმედებენ, ერთსა და იმავე ორგანიზაციებში იმყოფებიან. ბურჟუაზია კი ნაციონალისტური პოლიტიკით ცდილობს შექნას ნიადაგი მათი გათიშვა განცალკევებისა, ცდილობს მათი ძალები დაქსაქსოს, დაასუსტოს, გააბათილოს, და ამის ნებას შეგნებული პროლეტარიატი არ მიცემს, რა თქმა უნდა, არც ერთ ერის ბურჟუაზიას''. ასე ამბობს ბ-ნი დარჩიაშვილი, ის დარჩიაშვილი ,,რომელმაც რაღაც ერთი თვის წინეთ, სწორეთ ამ ავტონომიისათვის ასეთი ქებათაქება შეასხა ქართველ თავად-აზნაურობას, გონებით ,,ჭეშმარიტ'' თავადებს და ,,ზნეობით'' ჭეშმარიტ აზნაურებს. როგორ მოხდა, რომ ერთ და იმავე ავტორს ეროვნული ავტონომია ,,მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის მავნებლათ მიაჩნია და; მთელი ხალხისთვის სასარგებლოთ? როგორ მოხდა, რომ მას კიდევაც წამს საერთო ინტერესები და არც წამს? ყოველივე ეს იმით აიხსნება, რომ მას ეროვნულ ავტონომიაზედაც არა აქვს გარკვეული შეხედულება, რომ მას ვერ შეუთვისებია ამ კითხვის შესახებ ის თვალთახედვის ისარი, რომლითაც ხელმძღვანელობს ამ ჟამათ რუსეთში მცხოვრებ სხვადასხვა ერების მებრძოლი, რევოლიუციონური პროლეტარიატი. თუმც ბ-მა დარჩიაშვილმა ზურგი აქცია ეროვნულ ავტონომიას, მაგრამ მის მაგიერათ მან წამოაყენა კავკასიის ავტონომია; მაგრამ ეროვნულ ავტონომიას სავსებით მაინც არ გამოთხოვებია რასაც აშკარათ ამტკიცებს მისი წერილი პოლონეთის შესახებ (,,ივერია'', № 198). ერთი სიტყვით, იშვიათი იქნება მეორე ისეთი მწერალი, როგორიც ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილია, რომელიც ასე არეულათ და დაბნეულად წერდეს, რომელიც მასავით ხან ასე გაიძახოდეს, და ხან ისე. საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე ასეთი რყევა, ასეთი მიხლა-მოხლა, წამდაუწუმ თავისი თავის წინააღმდეგობა და მალაყების გადასვლა, მეტი რომ არა ვთქვათ, მეტათ მავნებელი და გასაკიცხია. ჩვენ კიდევ ბევრი მაგალითების ჩვენება შეგვეძლო ბ-ნ დარჩიაშვილის ნაწერებიდან, მაგრამ რაც აღვნიშნეთ, ჯერ-ჯერობით ისიც საკმარისია მისი ლიტერატურული მოღვაწეობის დასაფასებლათ და მისი შეხედულების გასაცნობათ. ამით ვათავებთ ჩვენ მასთან კამათს, და ვისურვებთ, რომ ასეთ მოკამათესთან შემდეგში აღარ დაგვირჩეს საქმე.

ფ. მახარაძე.

პარტიის ცხოვრებიდან.

რ. ს.-დ. მ. პარტიის ბაქოს კომიტეტმა და სარაიონთა შორისმა კრებამ, ნ ნოემბერს, დაადგინა:

I. ,,უმრავლესობის'' და ,,უმცირესობის'' შეერთების საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია პარტიის ცენტრ. დაწესებულებაზე.

II. ღღეს შესაძლებელია და მიუცილებელი საჭიროებაც არის მხოლოთ შეთანხმება ადგილობრივ პროლეტარიატის საერთო მოქმედებათა გაერთიანების შესახებ.

III. საერთო მოქმედების მოსაწყობათ და იმის ხელმძღვანელობისთვის, ისეთ მოქმედებაში, რომელიც ერთნაირათ საჭიროთ მიაჩნია ორივე ფრაქციის ადგილობრივ ორგანიზაციას, ორივე სოც.-დემ ორგანიზაციები შეადგენენ ფედერატულ საბჭოს.

1) ფედერატიური საბჭო არის გადაწყვეტილების მაძღვანელი ორგანო შეერთებული სარაიონთაშორისო კრების იმ კითხვების გადაწყვეტაში (საერთო მოქმედების მოწყობა), რომლებისათვის იგი არსდება, თავის მოქმედების შესახებ ფედერატიული საბჭო ანგარიშს აძლევს სარაიონთაშორისო კრებას *).

2) ფედერატიული საბჭო მართავს კრებებს, მიტინგებს, დემონსტრაციებს, საყოველთაო გაფიცვებს და სხვა., ერთი სიტყვით ყველაფერს, რაც გამომდინარეობს იმ მიზნისაგან, რომლისთვისაც იგი მოწოდებულია. იგი აგრეთვე აწყობს მებრძოლ რაზმს და შეიარაღების საქმეს, ანაწილებს საagitატორო ძალებს ორივე ორგანიზაციებისას და ცემს პრაქტიკულ ხასიათის ფურცლებს.

3) ფ. ს. შედგება ორივე ორგანიზაციის წარმომადგენლების თანასწორ რიცხვისგან, რომელთაც ირჩევს შეერთებული სარაიონთაშორისო კრება, რომელიც აგრეთვე შემდგარია ორივე ორგანიზაციის წარმომადგენლების თანასწორი რიცხვისაგან.

4) სარაიონთაშორისო კრება, დარწმუნებულია იმაში, რომ პარტიის ორ ფრაქციას შორის განხეთქილების მოსასპობლათ და მისი გაერთიანებისათვის საჭიროა ნიადაგის მომზადება და ორივე ფრაქციის ადგილობრივ ორგანიზაციების ერთმანერთთან დაახლოვება პრაქტიკულ კითხვების ნიადაგზე, სასურველათ ცნო, რათა რაიონულ და საქართველო ორგანიზაციებმა გამართონ შეერთებული კრებები პრაქტიკულ კითხვების გამოსარკვევათ.

—

რადგანაც ამ კრების შემდეგ ორ ფრაქციას შორის სრული შეთანხმება არ მოხდა, ორივე ფრაქციის მუშები შეიკრიბენ და გადაწყვიტეს შეერთებულიყვენ.

—

ოდესაში ,,უმრავლესობის'' და ,,უმცირესობის'' ორგანიზაციები უკვე შეთანხმდენ და თავისი მოქმედება გააერთიანეს. ფრაქციულ კომიტეტების მაგივრათ იქ უკვე მოქმედებს ორივე ფრაქციისაგან შემდგარი გაერთიანებული კომიტეტი.

კიდევ სომეხ ნაციონალისტების შესახებ.

გაზ. ,,არშალუისი'' ერთი ლიდერთაგანი, ბ. თოფჩიანი, თავის კანში ვერ ეტევა და თავგამოდებით იცავს ,,დაშნაკეკელებს'' და საზოგადოთ, ყველა ნაციონალურ პარტიებს.—,,ქართველ პუბლიცისტების ერთი უმთავრესი ბრალდება იმაში მდგომარეობს, რომ სომხები კავკასიაში უკან ჩამორჩენ დემოკრატიულ მოძრაობას და უმთავრესი ყურადღება ოსმალეთის სომხებს მიაქციეს. მაგრამ არა, ფაქტები გვეუბნება, რომ სომეხი-მუშები ბაქო-ბათუმში მუდამ მებრძოლთ მოწინავე რაზმებში დგანანო''.—დასძენს პატივცემული ავტორი.—,,დაიწყო აგრარიული მოძრაობა გურიაში და აი სომეხი-გლეხობა დამნაშავეა იმაში, რომ მხარი არ მისცა მეზობელს''. ,,რაც შეეხება სომხების კითხვას ოსმალეთში, განაგრძობს ბ. თოფჩიანი, ციტატით, რომ ქვეყანაზე განთქმულნი სოციალისტები: ჟორესი, ბებელი, ზინგერი და სხ. დიდი თანაგრძობით უცქერიან ამ კითხვას და მის დამცველ ორგანი-

*) კრებაზე ,,უმცირესობის'' წარმომადგენლებმა ეს მუხლი არ მიიღეს.

ზაციებს; ხოლო მათი კავკასიელი მიმდევარნი კი შოვინისტურ და ბურჟუაზიულს ეძახიან სომეხ ახალგაზდობას მისთვის, რომ უკანასკნელი დღევანდლამდინ თავდადებული იყო ამ საქმეზე".

არშალუისელებს ერთ საპოლემიკო იარაღათ სიტყვა „ქართველი" ამოუჩემნია და საცა არა მგონია „ვრაცი"-ს გაიძახიან. როცა ჩვენ ვამბობთ იმის შესახებ, თუ როგორ შებოჭა ამ სომეხ ბურჟუაზიამ და ტერტერობამ სომეხი-პროლეტარი, ,,არშალუსის'' ბურჯები ერთხმათ გაიძახიან: ,,ტყუილია, ვერ ხედავთ მწერალი ,,ვრაცია"-ო". ბ-მა თოფჩიანმა ამ უკანასკნელ დროს კიდევ ,,კოსმოპოლიტი ხეჩოები'' გამონახა. ამ ნაირ ტაქტიკას ადგა, რავდენათაც ვ. ჩ-სკის, ცნობილი ველიჩკო-ჭავჭავაძის კომპანია. იმავე ტაქტიკას ადგა [illegible] გადმომცეს, თათრული ,,ჰეიათი"-ც. «არშ.» სწორედ ამ გზას დაადგომია და ის მხედველობაში არ იღებს, თუ რა კლიასს ეკუთვნის მუ[illegible]მდევე. მაგრამ მჟავე პატრიოტი რაღა პატრიოტია, თუ კი კლასს, კლასსიურ ბრძოლას იქონიებს მხედველობაში კამათის დროს. საკმარისია ისიც, რომ მოკაზათე ქართულათ წერს, თუ გინდ სომეხიც იყოს ავტორი. თოფჩიანების ლექსიკონში ტყვილათ მოძებნით თქვენ—პროლეტარი, ბურჟუაზია, კლასსიური ბრძოლა და სხვა ამისთანა, „კოსმოპოლიტ ხეჩოებისგან" მოჭორკინებულ სიტყვებს.

თოფჩიანი ბძანებს: «ქართველ პუბლიცისტების ერთი ულმთავრესი... და სხვა» კითხულობ ამ სტრიქონებს და გული ზიზღით გევსება. ბ. თოფჩიანებო, რათ ატყუებთ სოხეხ-მუშას, გლეხს? რათ სარგებლობთ იმ გარემოებით, რომ სომეხი მიშა-გლეხი ქართულს არ კითხულობს, სომხურათ კი, საუბედუროთ, ჯერ-ჯერობით არა თუ მარქსისტული, არამედ ცოტათ-თუ ბევრათ დემოკრატიული მიმართულების გაზეთიც არა გვაქვს (რა თქმა უნდა ლეგალურ გამოცემებზეა ჩემი სიტყვა)? ჩვენ ვამბობთ, რომ სომეხი გლეხი და პროლეტარი კლასსობრივ შეგნებას მოკლებულია. ხოლო ბრალს ვდებთ არა ხალხს, არამედ თქვენ, ბ. ნაციონალისტებო ყველა ჯურისა, ვინაიდან თქვენ ცდილობთ და ყოველ გვარ საშუალებას ხმარობთ, რომ სომხის პროლეტარიატში აღმოფხვრათ კლასობრივი შეგნება.

ხოლო ამას გაბრალებთ არა მარტო «ვრაცი» პუბლიცისტები, არა «მარქსისტები по недорозумѣнію», როგორც უწოდებს „მოგზაურელებს" ბ. იშხასიანი, არამედ თვით პარტიაში მომუშავე სომეხი-ამხანაგები (იხილეთ პარტიული ორგანოები—«პროლეტარიატის ბრძოლა», „სოციალ-დემოკრატი", იხილეთ სომეხ-სოც.-დემ. ორგანიზაციის ორგანო «სოციალისტი») და ყველა თვალ-ახილული სომეხი-პროლეტარიც, რომლის ერთ წარმომადგენელს, ბ. თოფჩიანო, ირონიულათ «კოსმოპოლიტ ხეჩოს» უწოდებთ.

ყველა ზემოთ თქმულის შემდეგ ნაციონალისტების საკარგებლოთ სრულებით არაფერს მოწმობს ის ფაქტი, რომ ბაქო-ბათუმში სომეხი მუშები მხურვალე მონაწილეობას იღებენ საერთო მოძრაობაში. ვიმეორებ იმას, რაც წინა წერილშიაც ვთქვით, რომ ეგ ფაქტი მხოლოთ იმას ამტკიცებს, რომ მუშათა მოძრაობას ვერ შეაჩერებს ვერაფერი ზღუდე; დავუმატებ ახლა, რომ სომეხ-მუშების მონაწილეობა საერთო გაფიცებში და დემონსტრაციებში, იმ მუშებისა, რომელნიც ნაციონელისტების ხელში არიან, ამტკიცებს მხოლოთ იმ აზრს, რომ რაც გინდ მუშა შებოჭილი იყოს სხვა და სხვა ტენდენციებით, ის მაინც ინსტინქტიურათ გრძნობს, რომ იმას ბევრი რამ აერთებს სხვა ჯრის მუშასთან და ძალიან ცოტა თავს ერის ბურჟუაზიასთან.

წინა წერილში მე სხვათა შორის ვამბობდი, რომ [illegible] რიის მოძრაობის დროს მრავალი კორესპონდენცია შეიტანა ქართულ გაზეთებში და ჩვენმა გაზეთებმა ქართველებს გადათარგმნეს-მეთქი. ამით მე იმის თქმა მინდოდა, რომ ის კორესპონდენციები შეიცავენ საინტერესო მასალას წარმოადგენდენ ჩვენ დაბეჭდილებულ გლეხთათვის. მაგრამ ჩვენმა გაზეთებმა (მაშინ მარტო „მშაკი" და «ტარაზი» გამოდიოდა) ერთიც არ გადათარგმნეს და ბეჭდავდენ მხოლოთ იმას, რაც ,,კავკაზში'' იბეჭდებოდა. აქედან მე ის დასკვნა გამომყვანდა, რომ ჩვენი ნაციონალისტები ერთხმათ ბოიკოტს უცხადებდენ ლიტერატურაში ყველა იმ წერილებს, რომელნიც გამოსადეგია, როგორც საინტერესო მასალა სოც.-დემ. აზრის გასავრცელებლათ. ბ. თოფჩიანს კი გონებია, რომ ვითომ მე ვუსაყვედურებდე სომეხ-გლეხებს, რატომ გურულებს არ მივაშველებით მეთქი.

მოდი და მწარეთ ნუ გაგეცინება. ბატონებო, გურულებს ჩვენი გლეხების მიშველება არა ჰირიათ, იმათ მხარში უდგა მთელი რუსეთის პროლეტარიატი. ხოლო, რომ ჩემი აზრი სრული ჭეშმარიტებაა, ამის დასამტკიცებლათ დღესაც ბევრ მაგალითებს იძლევიან ჩვენი გაზეთები: მოვიყვან ერთს: დაახლოვებით ამ ერთი თვის წინეთ გაზ. „Разсвѣтъ" შიდაიბეჭდა ნ. მარრის წერილი გურიის დღევანდელ ვითარების შესახებ. ამავე წერილში ის შეეხებოდა, გაკვრით, სომეხ-სოც.-დემ. ანის ნანგრევების და საეკლესიო მამულების დარუნების საქმეს. ჩვენმა გაზეთობამ (მგონი „მშაკმა") ამოკენკა მხოლოთ ის, რაც შეეხებოდა სომხებს, დანარჩენი კი, რაც უფრო საინტერესო იყო, როგორც საინტერესო მასალა გლეხებისთვის—გაუშვა.

ჩვენი ნაციონალისტები ერთ ახირებულ ხერხს ხმარობენ ჩვენს წინააღმდეგ. ისინი გვიკიჟინებენ, მითომ ჩვენ წინააღმდეგი ვიყოთ ოსმალეთის სომხების განთავისუფლებისა და ადამიანური პირობების უფლებების მოპოვებისა. მაგრამ ეს არაფერი: იმათ განგაში გააქვთ, რომ აგრე ჩადიან მარტო სოც. მეხი სოციალისტებიო (ბეპირ პროპაგანდის დროს გამიგია აგეთი სისულელეც, რომ ვითომ სომეხი სოციალისტები ცდილობენ სომხები გაარუსონ!), თორემ მთელი ქვეყნის სოციალისტები ოსმალეთის სომხების განმათავისუფლებელ მოძრაობას თანაგრძნობით უცქერიანო. ბ. თოფჩიანსაც ამ ხერხისთვინ მიუმართავს და ჩამოუთვლია რაც კი სოციალისტების ბელადების სახელები მოგონებია და მედიდურათ გაიძახის, რომ ესენი სუყველანი დადის სიმპატიით უცქერიან ოსმალ-სომხების მოძრაობასაო და სხვა.

რაშია საქმე? ნუ თუ მართლა ჩვენ მომხრენი ვართ, რომ ოსმალეთში სომხები მონობის უღელში დარჩენ? ნუთუ ჩვენ წინააღმდეგი ვართ იმისი, რომ თქვენ სულთანის რეჟიმს ებრძოლოთ? ამ კითხვების დასმაც კი სასაცილოა. ნუტავ არ იქნება ალლაჰმა იგეთი ჭნო მოგცეთ, რომ ავლაბრიდან ერთი შებერვით მთელი ოსმალეთის დესპოტია დემოკრატიულ რესპუბლიკათ გადააქციოთ. მაგრამ საქმე ამაში არ არის.

მიაქციეთ ყურადღება, ამხანაგებო, რომ უმთავრესი ბრალი ედება კავკასიელ სოციალისტებს და, ნამეტნავათ, კი სომეხ „კოსმოპოლიტ ხეჩოებს", ე. ი. იმათ, ვინც გვერდში უდგანან ამ ვაჟბატონებს, იციან მათი ყველა ოინბაზობა, ელაპარაკებიან ხალხს იმავე სომხურ ენით, კლასობრივი შეგნების სხივი შეაქვთ სომეხ მასსაში და ამ ნაირათ უნგრევენ მათ ნაციონალურ ტრადიციებით გაჟღენთილ ნიადაგს და ადვილათ მიხვდებით იმათ გაცოფების მიზეზს. ხოლო ეს სების და ბებელების არ ეშინიათ ჩვენ ნაციონალისტებს; ნაიღან იმათ კირგათ იციან, რომ ჟორესები და ბებელები გუ-

ბაში და ყარაქალისაში აგიტაციას ვერ გასწევენ სომხურათ. ოსმალეთის სომხები აქ მხოლოთ ნიღაბია, ჩვენი ნაციონალისტებისათვის, რის საშუალებით ისინი ცდილობენ ხალხში ნდობა დაუკარგონ სომეხ სოციალ-აგიტატორებს და ამხედროს მათ წინააღმდეგ ხალხი.

ეგრე, ბატონებო, საქმე იმაშია, რომ ჩვენ კარგათ ვიცით თქვენი „მოქმედება“ წარსულშიაც და დღესაც აქ, კავკასიაში და „მოქმედებას“ ვუყურებთ ჩვენის, პროლეტარის თვალთახედვის ისრით. თქვენი წარსული გვეუბნება, რომ მთელი თქვენი „მოქმედება“ კავკასიაში მიმართული ყოფილა სომეხ-პროლეტარიატის კლასობრივ შეგნების წინააღმდეგ (ნებით თუ უნებლიეთ, ჩვენთვის სულ ერთია)—ხელში ჩაიგდეთ მთელი ჩვენი ლეგალური თუ არა ლეგალური ლიტერატურა და თქვენებური ცენზურა დაადეთ ფაქტიურათ ყოველ აზრს, რაც პროლეტარის კლასობრივ შეგნებას ხელს შეუწყობდა; უკანასკნელ წლებში ესეც არ იკმარეთ და ფიზიკურ რეპრესიას მიმართეთ იმ პირთა მიმართ, რომელნიც ცდილობდენ კლასობრივი შეგნების შეტანა მეტანათ დავეჩვევებულ სომეხ-მუშის და გლეხის ცხოვრებაში. ნუთუ ეს საჭირო იყო ოსმალეთის სომხების დასახმარებლათ? ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს ყველაფერი მხოლოთ და მხოლოთ ჩვენი ბურჟუაზიისთვის იყო საჭირო და რაღათ გვინდა და მაღლა ხტიხართ, როცა ბურჟუაზიის დამცველთ გვიწოდებთ.

ნერსეს მ—იანც.

ღია წერილი

ბ.ბ. ფ. გოგიჩაიშვილს და ვლ. დარჩიაშვილს.

ყოველგან, საზოგადოების ყველა სფეროში არსებობს რაიმენაირი ეთიკა ანუ ზნეობრივი წესი, რომელსაც განსაზღვრული წრის ანუ ფროფესიის ხალხი ასე თუ ისე ემორჩილება და თავისთვის სავალდებულოთ მიაჩნია. ასეთი ზნეობრივი წესი მით უფრო უნდა არსებობდეს მწერლობაში, ვინაიდან მწერლობა ისეთი სფეროა, რომლის ერთ უპირველეს დანიშნულებათაგანს სხვათა შორის შეადგენს ყოველგვარ უდიერ და ადამიანის ღირსების დამამცირებელ მოქმედებათა საჯაროთ მხილება და გაკიცხვა. ერთი ასეთი წესი იმაში მდგომარეობს, რომ მოკამათემ თავის იდეურ მოწინააღმდეგეში არ უნდა შეურაცხყოს ადამიანური ღირსება არ უნდა შეეხოს პირადობას. მე ამას იმიტომ კი არ ვლაპარაკობ, რომ თქვენ ყოველივე ეს ვითომც არ იცოდეთ. სრულებითაც არა. და თუ ასეთი ანბანური ჭეშმარიტების განმეორება დამჭირდა მე აქ. ეს მხოლოთ იმიტომ, რომ თქვენ ორთავემ ჩემ შესახებ სრულებით დაივიწყეთ ეს ზნეობრივი წესი, სრულებით მელახეთ და ფეხქვეშ გათელეთ იგი. თქვენ ორთავემ უარყოფით კამათი იდეურ ნიადაგზე და სამაგიეროთ მოიწვდინეთ ჩემი ადამიანური ღირსების დამცირება და ფეხქვეშ გათელვა. გიცხადებთ, რომ პირადობის ნიადაგზე მე არ ძალმიძს თქვენთან კამათის გაწევა: ეს იქნებოდა ერთი ძხრით იმ ორგანოს მკითხველების აბუჩათ აღება, რომლის ერთი ხელმძღვანელთაგანი მე ვარ, და მეორე მხრით თავისი თავის დამცირებაც. მაგრამ არ იფიქროთ, რომ მე ამით ხელს ვიღებდე, შეძლების დაგვარათ, თქვენი ნაწერების დაფასებაზე და კრიტიკის ქარცეცხლში გატარებაზე,—ეს იმ საქმის ღალატი იქნებოდა, რომელსაც მე ჩემი სუსტი ძალღონით ვემსახურები. თქვენ კი [illegible] უფლება გაქვთ განაგრძოთ თქვენი „სასიქადულო“ საქმეობა.

ფ. მახარაძე.

წერილი ყვირილიდან.

ყვირილაში. საღამო გაფიცვა ლტოლვილების დაიწყო და ცხოვრების მაჯის ცემა შეწყდა. ამავე დღეს კორბოულის და სხვა საზოგადოების ახალგაზრდებს წერილი უნდა ეყარათ ჯარში ჩასარიცხათ. თუმცა 16 ოქტომბერს მათი რიცხვი ბევრი იყო, მარა 17-ს დილით პოლიციამ ერთიც ვერ ნახა: ერთიანათ წასულიყვენ თავთავიანთ შინ. 18-ს ოქტომბერს ნაშუადღევის 2 საათზე მოხდა ყვირილა-შორაპნის მუშათა და მცხოვრებთა შეერთებული მიტინგი, რომელსაც დაესწრო 300—400-დე კაცი და ქალი. ორატორებმა რუსულ-ქართულათ ილაპარაკეს რუსეთის მუშათა მდგომარეობაზე და გაფიცულების მნიშვნელობაზე. მიტინგი სალამოს 5 საათზე გათავდა. იქვე გამოცხადებულ იქნა, რომ 20 ოქტომბერს მთელი რაიონის [illegible] და დიდი, პატარა, ქალი, თუ კაცი ერთათ შეიკრიბეთ ს. საქარაშიო-სალამოს შვიდ საათზე რკინის გზის ბატალიონში. ხაშურიდან პავროზი მოიყვანა, რომელიც დეპოს ახლო ლიანდაგს გადაცდა და დაიმტვრა. მეორე დღეს დიდის გაჭირებით აძოყვანეს, შეაკეთეს და ისევ უკან დააბრუნეს. მას შორაპანსა და ძირულას შუა დაეჯახა ხაშურიდან მომავალი სამხედრო მატარებელი და ვაგონები სულ დაიმტვრა: ორი სალდათი მოკვდა და დანარჩენები დაშავდენ. 19 ოქტომბერს დაბაში გავრცელდა ხმა მანიფესტის შესახებ, მეფეს კონსტიტუცია მოუციათ: 20 ოქტომბერს დილას ყველამ შეიტყო მანიფესტის შინაარსი და ერთმანეთს ულოცავდენ გამარჯვებას. რადგან 20-ის მიტინგი ს. საქარაში იყო დანიშნული ხოლო დღეიდან ამაშიაც შეიძლებოდა შეკრება, ამიტომ გადაწყვიტეს ჯერ დანიშნულ ალაგზე მისვლა დაბიდან, მერე იქიდან ჩამოსვლა და შუა ბაზარში მიტინგის გამართვა. 12 საათზე საქარის ეკლესიაზე შეიკრიბენ დროშებით და იარაღით რამდენიმე სოფლის მცხოვრებნი 2000-დე, ამას მიემატენ ყვირილიდან მისულები რომელთა რიცხვი ერთათ იქნებოდა 4000-დე. 1 საათზე იქიდან მარსელიოზის სიმღერით და მუსიკით წამოვიდენ ყვირილაში. გზაზე შემოგვიერთდა იმ საზოგადოების მცხოვრებნი, რომელთაც ეკლესიაზე ვერ მოასწრეს შეკრება. ამათ დემონსტრატები „ურას“ და „გაუმარჯოს თავისუფლებას“ ყვირილით მიეგებენ. წესიერება გზაზე არსად არ დარღვეულა მიუახლოვდით ყვირილას. პირველათ უნდა გაგვეცნო სალდათების ბინასთან სალდათები გამოვიდნენ ქუჩაში და უცდიდენ ხალხის მოახლოებას. ხალხი მიუახლოვდა მათ და იგრიალა „ურამ“ და სალდათებმაც ,,ურათი'' უპასუხეს, თანაც ქუდები მოიხადეს და დემონსტრატებს შეუერთდენ. შუა ბაზარში აღმართეს მაღალი სადგომი, რომლის გარშემო შემოკრბა ხალხი, რიცხვით 10,000. ჩამოვარდა სამირისებური სიჩუმე. სადგომზე რიგ-რიგათ ადიოდენ ორატორები და უხსნიდენ ხალხს როგორც მანიფესტის შინაარსს, ისე რუსეთის, ახლანდელს მდგომარეობას პირველმა ორატორმა დიდხანს ილაპარაკა და ნათლათ გაურკვია ყველას სოც. დ.—მუშათა პარტიის პროგრამა. შემდეგი ორატორი (რუსი) მოკლეთ შეეხო მანიფესტის შინაარსს და რუსეთის მომავალ დროებითს მთავრობას. შემდეგ სიღერით გაიარეს უმთავრესი ქუჩები. შეჩერდენ სადგურის წინ. იქ ორმა ორატორმა ილაპარაკა პოლიტიკურ დამნაშავეების სრულ ამნისტიზე და სალდათების მოსპობაზე. მიტინგი გათავდა 6 საათზე.

გურიაში გაგზავნილ ჯარის გადმოყვანის დროს სადგურ ძირულაში 2 ნოემბერს შემდეგი უბედურება დატრიალდა. სამხედრო მატარებელი, ბელაგორიდან მომავალი, დაეტაკა გაჩერებულ მატარებელს აფიცრის მიზეზით; რამდენიმე ვაგონი დაიმტვრა და ბევრი სალდათი დაშავდა. სალდათებმა მაშინვე ახლო-მახლო მიდამოებს სროლა აუტეხეს; მოკლეს სამი და

დასჭრეს 20-დე ძირულაში მცხოვრებნი გაიქცენ, რის შემდეგაც სალდათებმა დუქნებს რბევა დაუწყეს: გაცარცეს ყველა დუქნები და ხიშტით მოკლეს პატარა ბავშვი. მ.რიგე აფიცერი მაშინვე სადღაც გაქრა.

10 ნოემბერს ყვირილა-შორაპნის რ. ს. დ. მუშათა ორგანიზაციამ გადაწყვიტა ყვირილაში კლუბის დაარსება. ფულების შეგროვებას ორგანიზაციის წევრნი უკვე შეუდგენ. 11 ნოემბერს ერთი ორგანიზაციის წევრი, როცა დუქნებში დადიოდა და ფულს აგროვებდა, მეორე პარტიის წევრი-სტუდენტი მედუქნეებს არწმუნებდა; მაგათ ფულს ნუ აძლევთ, რადგან კლუბს ვაჭრების წინააღმდეგ აარსებენო. მაგრამ არ გაჰრა ბისტრიკებმა, არავინ უჯერებდა მას და სიხარულით აწერდენ ფურცელზე ხელს.

12 ოქტომბერს ერთი პრო[illegible]ანდისტი თოფით მიდიოდა. სოფელ ყვირას რომ გაცილდა. გამოუდგა უკან ორი კაზაკი (ალბათ დაბეზღებით) და პირდაპირ სროლა დაუტეხეს. ყველა ტყვია აიცდინა, რადგან მიწაზე გაწვა. მერე ისე გამოუდგნენ, დაიჭირეს და თოფის კონდახი ნახევარი საათი ურტყეს. საღამოზე მშობლებმა ცოცხალ-მკვდარი ძლივს მიიყვანეს შინ.—13 ოქტომბერს სათადარიგო ჯარის კაცებმა, რომელთა რიცხვი ასამდე უარი განაცხადეს საჰმლის მიღებაზე, დაამტვრიეს ჭურჭელი, მიანგრ.მოანგრიეს სამზარეულო და უფროსებს გამოუცხადეს, ამას შემდეგ სამსახურზე უარს ვამბობთ და გაგვიშვით სახლებშიო. უფროსები ძალიან გაწიწმატდენ, მარა რას იზამდენ, შეპირდენ ცოტა ხნის შემდეგ განთავისუფლებას.

საყულიელი.

წერილები რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ჩვენს მცირე შენიშვნას.

„ივერიის 207 ნომერში მოთავსებულია ბ. ვლ. დარჩიაშვილის საკამათო წერილი „მაშ გავსწორდეთ“.

პატივცემული ავტორი შემდეგი სიტყვებით იწყებს კამათს: „ჩემს პირველ გამოსვლისთანავე ბ. მახარაძე საკვდარსა, წამეკაწუნა, უტიფრო სალანძღავი სიტყვები მესროლა, მაგრამ... და სხვ. დაუკვირდით, მკითხველო, ჩვენ მიერ ხაზ-გასმულ სიტყვებს. განა უმჯობესი არ იყო, რომ ბ. დარჩიაშვილს სრულებით არა ეთქვა-რა, ვინემ ასეთი ზრდილობიანი სიტყვები გამოეფინა გაზეთის ფურცლებზე? სწორეთ ბ-ნ დარჩიაშვილზე ითქმის: „ჭაჭალი თავს არ მოიქექს, თუ მოიქექს, სისხლს იდენსო“. ასეთი სიტყვების ხმარება ჭუჩის გარყვნილ ყმაწვილებს უფრო შეეფერის, ვინემ მწერალ-პუბლიცისტს. ბ. ვლ. დარჩიაშვილი ლანძღავს არა მარტო ფ. მახარაძეს, არამედ ყველა ქართულის მცოდნე მკითხველს, მთელ საზოგადოებას და პრესას. და მერე ასეთი უნდა მწერალი? ამას ქვიან ხალხის მასწავლებელი? ჩვენ არა გვგონია, რომ საზოგადოებამ უყურადღებოთ დასტოვოს ბ. დარჩიაშვილის საქციელი და შესაფერათ არ დაიფასოს მისი ლიტერატურული პატიოსნება.

ჩვენ გვაკვირვებს აგრეთვე დაუდევრობა გაზ. „ივერიის“ რედაქტორისა, რომელმაც ასეთი უშვერი სალანძღავი სიტყვები დასტამბა თავის ორგანოში. ან იქნება ბ. რედაქტორს არ ესმის ამ სიტყვების მნიშვნელობა? იმედი გვაქვს, რომ ამას შემდეგ ქართულ გაზეთში ადგილი არ ექნება ასეთ მარგალიტებს.

1) სანდრო გრიგორის ძე იტრიაშვილი. 2) პეტრე ბაბალ[illegible]ვილისა. 3) ვანო იტრიაშვილი. 4) ეკატერინე მუკაშაროვისა. 5) სოფიო ევისა. 6) ნატალია ლელოვისა. 7) [illegible]აკი ლელოვისა. 8) [illegible]ოსებ ბარხველიძე, 9) შუშა მეუმცირესე ალექსანდრე იტრიაშვილი.

ბ. რედაქტორო!

თქვენი გაზეთის საშუალებით ვაცნობებთ შემდეგს: ჩვენ მცხოვრებნი სოფ. წყემისა (სენაკის მაზრა) გასურჩევლად წოდებისა, ვაცხადებთ, რომ დღემდის ჩვეულებათ დადებულს დღესასწაულს „წმიდა ჭალწულ-მოწამე ბარბალეს დღესასწაულს“ ოთხს ქრისტე-შობის თვეს აღარ ვიხდით, რადგანაც ამის მიზეზით იძულებულს ხალხს დიდი ზარალი და ხარჯი მოგვდის. ამიტომ ვთხოვთ ნათესავთა და ნაცნობთა ზემო ხსენებულს დღეს ნუ მობრძანდებიან. ვინაიდგან არა ვითარი მზადება სტუმრის მისაღებად არ გვექმნება. ვინც ამ პირობას დაარღვევს, გადაიხდის ჯარიმათ ოც და ათ მანეთს მასპინძელი, და ათ მანეთს სტუმარი სოფლის საერთო საქმის სასარგებლოთ, ხოლო ვისაც ჰსურს ეკლესიაში ჩამოლოცვა, შეუძლია ყოველ დღეს მობრძანდეს.

მრევლის მონდობილებით მღვდ. **არსენ ჭალაგანიძე.**

გურულების სასარგებლოთ.

ბ. რედაქტორო! გაახლებთ რა სამ მანეთს უმორჩილესათ გთხოვთ მიუმატოთ აქის [illegible]ოდენი იმ ფულს, რომელიც გროვდება გურულთა სასარგებლოთ. ეს გურულთა რომელთაც ასე გაბედვით და მედგრათ ასწიეს თავი [illegible]ების დროშა და მეორე ნახევარიც მთავრობის თვითნებობის და [illegible]ომრკოებისგან აკლებულ და დარბეულ ქართლელების სასარგებლოთ, როგორც ესენიც განუყოფელათ და გაბედულებით, გვერდში მდგომნი თავის მოძმე გურულებთან ერთათ ბოძოლის ველზე.

იმედია ვისაც კი, ოდნავაც არის უღირს რაიმეთ თავისუფლება, გმირ გურულთა სასარგებლოთ არ დაიშურებს თავის წვლილს. ვ. ნ.

გურულების სასარგებლოთ ჩვენ მივიღეთ 35 მან. და 50 კაპ., რომელიც შეუგროვებიათ სად. უჯარაში. შემომწირველთა სია: 1) სტულისმა—15 მან., 2) აკოპოვმა 15 მან., 3) არკადიმ 5 მან., 4) ვერა ბუკიაშმა—50 კ.

ბატონო რედაქტორო! მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენს სოფელში—ტაში-კარში (ქვიშხეთის გვერდით) 20 კომლი მცხოვრებია და ისიც ექსპედიციისაგან ახალ-განადგურებული, მაინც მოვალეთ ვრაცხთ ჩვენ თავს გაჭირვების დროს შემწეობა ალმოუჩინოთ მოწინავე მოძმე გურულებს, რომლებიც შეუბრალებლათ გადასწვეს გამხეცებულმა ჰლასტუნებმა.

გიგზავნით 14 მანეთს და 40 კაპ.

სია ხელის მომწერლებისა:

მართა მუჩაიძე 1 მ. 50 შაური: ზაქარა ლომსაძე, გიორგი ლომსაძე, ვასო ლომსაძე, კოტე ლომსაძე, მარიამ ლაბაური, შაქრო ლომსაძე, მართა ტაბატაური, რომან გურული, სოლო რიკაძე, გარსევან ბლიაძე, პავლე ხაჩიძე, გორა ხაჩიძე, ვანო მაჭავარიანი, პეჭან ფარეშოვი, სინო ხაჩიძე, ბაკო გრიკალაშვილი, ვანო ხაჩიძე. ორ-ორი აბაზი: დათიკო გუროული, ლექსო ხაჩიძე. 35 კ., ლექსო გელაშვილი 30 კ., მიხა ხაჩიძე. თითო აბაზი: სოფო ხაჩიური, ანდრო ლომსაძე, ფიდო ხაჩიძე, ნაზო ხაჩიძე, ისიდორე ხაჩიძე, ნიკო ლომსაძე, გიორგი მჭედლიშვილი, ლევან მჭედლიშვილი, გიგო ხაჩიძე, ვანო გურული, ლიზა ლომიური, პარმენ ოყროიძე. ბაგრატა ჩადუნელი და ვანო ხაჩიძე. სამი შაური:—ელენე ლომიური. ორ-ორი შაური: სალომე გელაური, დათიკო მჭედლიშვილი, მაშო ხაჩიძისა. მაშო ტალახაური, კოლინკა ტალახაური.

ფულის ამკრებნი: კოტე ლომსაძე, სინო ხაჩიძე, დათიკო მჭედლიშვ

გარდა ამისა ზაქარია და დიმიტრი ნიჟარაძეებისაგან მიიღეთ კიდევ 1 მან.

სულ შედგა წინეთ მიღებულთან ერთად—214 მან. და 50 კ.

რედ-გამომც. **ი. პ. როსტომაშვილი.**

ვ. გადილიას წიგნის მაღაზიამ მიიღო შემდეგი საამღოვო წიგნები:

К. Каутскій. Аграрный вопросъ. („Аграрная программа") Спб. 1905 г. . — руб. 25 коп.
„ Соціальный переворотъ. На другой день. Спб. 1905 г. . . . — „ 20 „
„ Колоніальная политика въ прошл. и настоящ. Спб. 1905 г.— „ 40 „
„ Нашъ взглядъ на патріотизмъ и войну. Спб. 1905 г. . . . — „ 10 „
„ Развитіе формъ государства. Спб. 1905 г. . . . — „ 7 „
„ Національность на[illegible]го времени Спб. 1905 . . . . . — „ 6 „
„ Экон[illegible]ческое ученіе К. Маркса. Полный перев. съ предисл. подъ редакціей Желѣзнова . — „ 45 „
„ Развитіе госуд. строя на Западѣ— „ 6 „
„ Изъ исторіи культуры. Платоновскій и древнехристіанскій коммунизмъ . . . . . — „ 20 „
„ Ирландія. Культурно-историческій очеркъ . . . . . — „ 7 „
„ Возникновеніе рабочаго класса— „ 15 „
„ Рабочее движеніе въ средніе вѣка . . . . . — „ 20 „
„ Соціальная реформа и на другой день послѣ соціальной реформы . . . . . — „ 24 „
А. Бебель. Антисемитизмъ и пролетаріатъ . — „ 10 „
„ Женщина соціализмъ . . . . 1 „ — „
К. Марксъ. Рѣчь о свободной торговлѣ . . — „ 10 „
„ Итоги 48-го года . . . . . — „ 10 „
Н. Бельтовъ. Къ вопросу о развитіи монистич. взгляда на ист. Спб. 1905 г. . . . . 1 „ 50 „
Ф. Энгельсъ. Положеніе раб. класса въ Англіи. Спб. 1905 г. . . . . 1 „ — „
„ Антидюринъ (Философія, соціализмъ и полит. эк.)—1905 г. 1 „ 50 „
„ Происхожденіе семьи, собствен. и государства. Спб. 1904 г. . — „ 50 „
Ю. Липпертъ. Исторія семьи. Спб. 1897 г. . — „ 60 „
Ш. Сеньобосъ. Политическая исторія т. I Спб. 1903 г. } 3 „ — „
„ Политическая исторія т. II Спб. 1903 г. }
А. Богдановъ. Познаніе съ ист. точки зрѣнія. 1902 г. Спб. . . . . 1 „ — „
„ Краткій курсъ экономической науки . . . . . 1 „ — „
Проф. **Желѣзновъ**. Къ реформѣ современной теоретической экономіи . . . — „ 5 „
Э. Левассеръ. Народное образованіе въ цивилизован. странахъ. Спб. . 3 „ — „
Исаровъ. Современ. Франція. Спб. 1900 г. . 2 „ 50 „
Ив. Страховскій. Крестьянская правда и учреженія Спб. 1905 г. . . . 1 „ — „
С. Веббъ и Х. Коксъ. 8-мичасовой рабочій день. Спб. 1904 г. . . . 1 „ — „
Л. Вигуру. Робочіе союзы въ Сѣв. Америкѣ Спб. 1905 г. . . . . 1 „ 50 „
Н. Р. Чернышевскій. Что дѣлать? (ром). Спб. 1905 г. . . . . 1 „ 50 „
К. Арсеньевъ. Свобода совѣсти и вѣротерпимость. Спб. 1905 г. . . 1 „ 50 „
Бокль. Исторія цивилиз. въ Англіи Спб. 1896 . 2 „ — „
С. Сигель. Преступная Толпа. 1896 г. Спб. — „ 30 „
О. Курти. Исторія народн. законод. и демократіи въ Швейцаріи. Спб. 1900 1 „ — „
Гиббинсъ и Сатурникъ. Исторія соврем. Анг[illegible]ліи. Спб. 1901 г. . . . . 1 „ 20 „
Э. Ферьеръ. Дарвинизмъ. Спб. 1904 г. . . . — „ 50 „
Бр. Шенланкъ. Пролетаріатъ и его стремленія. О. 1905 г. . . . . — „ 15 „
Ф. Мускатблитъ. Народное представительство. Съ пред. Изгоева. О. 1905 г. . . . . — „ 7 „
Э. Бернштейнъ. Развитіе формъ хозяйствен. жизни. Спб. 1905 г. . . . — „ 10 „
Тексты конституціи разныхъ государствъ.
Ф. Павленковъ. Энциклопедическій словарь. Спб. 1905 г. . . . . 3 „ — „

მუდამ გდებულობთ სასმელროგო ბრწყინვალებს ბოლიტიკურ და ეკონომიურ შინაარსისას.

აგრეთვე იყიდება ქართული წიგნები:

ნ. რაიჭესბერგი. მუშათა კითხვა. ბათომი 1900 წ. . 15 კ.
დ. ჯონქაძე. სურამის ციხე. ბათომი 1902 წ. . . . 15 „
ა. მირიანაშვილი. ფიზიკა. ჰაერი და მისი თვისებანი ტფილისი 1897 წ. 15 „
გ. წერეთელი. საუკეთესო ლოდნა თბ. 1888 წ. . . 15 „
სმაილსი. თვით-მოქმედება. თბ. 1885 წ. . . . . 15 „
გ. იოსელიანი. მოკლე ფორმალური ლოღიკა. თბ. 1897 წ.. . 15 „
ფ. მახარაძე. ხალხური პოეზია და ბ-ნ მელიტონ კელენჯერიძე. თბ. 1897 წ. . 20 „
გიორგი ვაშინგტონი (ამერიკის განმათავისუფლებელი). თბ. 1891 წ. . 20 „
ვიკტორ ჰიუგოს რომანიდამ «ოთხმოც და ცამეტიდამ». თბ. 1892 წ. . 10 „
ვოლტერი. უმანკო (მოთხრობა). თბ. 1892 წ.. . . 30 „
ვ. ლუკვიჩი. ჭიანჭველების ცხოვრება ტფ. 1892 წ. 15 „
მეცნიერებისთვის წამებულნი. (48 სურ.) ბათ. 1899 წ. 1 „
საბერძნეთის ბრძენი დიოგენი ახალ-სენაკი. 1896 წ.. 10 „

შეკვეთა გაუგზავნებათ ფასდაკლებით (ხელ. ნალოგ. ფასით) ჩვენი ადრესი. თბილისი, კიროჩნაია, 7. (Тифлисъ, Кирочная, 7).

სტამბა ექ. ივ. ხელაძისა, ნაძალადევის ბაზარი, სახლი სომხის სასულიერო სემინარიისა.